ახალი განათლება

12 - 18 ნოემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№34 (708) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge





გამოცდები — *2016*

გვ. 3 **2016 წელს გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდება**

კონცეფცია

გვ. 4 **თანადგომის გარეშე დარჩენილები – 18+**

პედაგოგთა დასახმარებლად

გვ. 6 **ნატურალური რიცხვები. რიცხვისა და ციფრის გარჩევა**

საუბრები ლიტერატურაზე

გვ. 8 **ცრუმორწმუნეობისა და ჯადოქრობის ჭაობში ჩაფლული საზოგადოება**

რამდენიმე ასპექტი „შუშანიკის წამებიდან“

სერიის ფასი – 17.70₾

ქართული ენის კრებულები

ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული გრამატიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

სერიის ფასი – 30.40₾

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით. წიგნებში მოცემულია: სასალისო აქტივობები, მარტივი ინსტრუქციები, ასაკისთვის შესაბამისი ენით დაწერილი საბავშვო ტექსტები, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელსა თუ მშობლებს, მანეკვითარონ ბავშვებს წერის, კითხვისა და მეტყველების უნარ-ჩვევები.

სიახლე

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პრობლემურად გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. მაღალსფსკი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ Facebook გვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს რამდენჯერაც თემების მისაღებით, ასევე შერეულად.

გაისსენეთ თეორიული მასალა ამ წიგნის მისაღებით და მოიწყვეთ საატესტატო გამოცდების სიმულაცია სახლში!

თითოეული კრებულის ფასი – 9.90₾

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ბრძანება №1193

თბილისი **06.11.2015 წ.**

2016 წლის იანვარში/თებერვალში ორგანიზებული საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის საგნის გამოცდის ტესტში დასაგროვებელი აუცილებელი ქულების დადგენის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, „საგნის გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 25 სექტემბრის №124/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული საგნის გამოცდის ჩატარების წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის 2015 წლის 05 ნოემბრის №1158784 წერილების გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შესაბამისი საგნების/საგანთა ჯგუფის მიხედვით დადგინდეს 2016 წლის იანვარში/თებერვალში ორგანიზებული საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარებისათვის საგნის გამოცდის ტესტში დასაგროვებელი აუცილებელი ქულები შემდეგი სახით:

ა) ქართული ენისა და ლიტერატურის (VII-XII კლასები), გეოგრაფიის (VII-XII კლასები), ისტორიის (VII-XII კლასები), ბიოლოგიის (VII-XII კლასები), ქიმიის (VII-XII კლასები), ფიზიკის (VII-XII კლასები), მათემატიკის (VII-XII კლასები), უცხოური ენების (I-XII კლასები), სამოქალაქო განათლების (VII-XII კლასები), ქართულის, როგორც მეორე ენის (I-XII კლასები), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (I-IX კლასები), ბუნებისმეტყველების (დაწყებითი საფეხური), ქართული ენისა და ლიტერატურის (დაწყებითი საფეხური), მათემატიკის (დაწყებითი საფეხური), ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I- IV კლასები) და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის გამოცდაში მასწავლებელმა, იმისათვის რომ საგნის გამოცდები ჩაეთვალოს წარმატებით ჩაბარებულად, უნდა დააგროვოს შესაბამისი საგნის/საგანთა ჯგუფის გამოცდის ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტი, კერძოდ:

ა.ა) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (VII-XII კლასები) – 49 ქულა და მეტი;
ა.ბ) მათემატიკაში (VII-XII კლასები) – 36 ქულა და მეტი;
ა.გ) გეოგრაფიაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
ა.დ) ბიოლოგიაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
ა.ე) ქიმიაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
ა.ვ) ფიზიკაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
ა.ზ) ისტორიაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
ა.თ) სამოქალაქო განათლებაში (VII-XII კლასები) – 43 ქულა და მეტი;
ა.ი) უცხოურ ენაში (I-XII კლასები) – 73 ქულა და მეტი;
ა.კ) ქართულში, როგორც მეორე ენაში (I-XII კლასები) – 61 ქულა და მეტი;
ა.ლ) სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში (I-IX კლასები) – 43 ქულა და მეტი;
ა.მ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში და ბუნებისმეტყველებაში (I-IV კლასები) – 61 ქულა და მეტი;
ა.ნ) ქართულ ენასა და ლიტერატურაში (დაწყებითი საფეხური) – 49 ქულა და მეტი;
ა.ო) ბუნებისმეტყველებაში (დაწყებითი საფეხური) – 49 ქულა და მეტი;
ა.პ) მათემატიკაში (დაწყებითი საფეხური) – 49 ქულა და მეტი;
ა.ჟ) ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში – 43 ქულა და მეტი;

ბ) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (I-IV კლასები), ბუნებისმეტყველების (დაწყებითი საფეხური), ქართული ენისა და ლიტერატურის (დაწყებითი საფეხური), მათემატიკის (დაწყებითი საფეხური), უცხოური ენების (I-XII კლასები), ქართულის, როგორც მეორე ენისა (I-XII კლასები) და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნის გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში, იმისათვის, რომ მასწავლებელს საგნის გამოცდა ჩაეთვალოს წარმატებით ჩაბარებულად, ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შესაბამისი საგნის/საგანთა ჯგუფის გამოცდის ტესტის მაქსიმალური ქულის 60%-ზე მეტის დაგროვებასთან ერთად, უნდა გადალახოს საგნის გამოცდის თითოეული ნაწილის ბარიერი ქვემოთ დადგენილი პრინციპის შესაბამისად, კერძოდ:

ბ.ა) ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების (I-IV კლასების) საგნის გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთ ნაწილში – აკადემიური უნარების ნაწილში – მასწავლებელმა უნდა გადალახოს მაქსიმალური ქულის (აკადემიური უნარების ნაწილში მაქსიმალური ქულა – 20) 40%-ზე მეტი, ანუ 9 ქულა და მეტი.

ბ.ბ) ბუნებისმეტყველების (დაწყებითი საფეხური), ქართული ენისა და ლიტერატურის (დაწყებითი საფეხური), მათემატიკის (დაწყებითი საფეხური) გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან, აქედან ერთ ნაწილში – აკადემიური უნარების ნაწილში – მასწავლებელმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის (აკადემიური უნარების ნაწილში მაქსიმალური ქულა – 20) 40%-წე მეტი, ანუ 9 ქულა და მეტი.

ბ.გ) უცხოური ენების გამოცდა იყოფა ხუთ ნაწილად, აქედან 4 ნაწილში – ლაპარაკის (პრაქტიკულ), წერის, კითხვისა და მოსმენის (წერილობით) ნაწილებში მასწავლებელმა უნდა დააგროვოს მაქსიმალური ქულის 1/3-ზე მეტი. კერძოდ, ლაპარაკის (პრაქტიკულ) ნაწილში მაქსიმალური ქულაა 16 – გამსვლელი 6 ქულა და მეტი, წერის (წერილობით) ნაწილში მაქსიმალური ქულაა 16 – გამსვლელი 6 ქულა და მეტი, მოსმენის (წერილობით) ნაწილში მაქსიმალური ქულაა 16 – გამსვლელი 6 ქულა და მეტი, წაკითხულის გააზრების (წერილობით) ნაწილში მაქსიმალური ქულაა 22 ქულა, ხოლო გამსვლელი ქულაა 8 ქულა და მეტი.

ბ.დ) ქართული, როგორც მეორე ენა (I-XII), იყოფა ხუთ ნაწილად. ტესტის თითოეული ნაწილისათვის განსაზღვრულია შიდა ზღვარი მაქსიმალური ქულის 40%-ზე მეტი, კერძოდ, მოსმენის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 11 – გამსვლელი 5 ქულა და მეტი, კითხვის ნაწილში მაქსიმალური ქულა განისაზღვრა 28 ქულით, ხოლო გამსვლელი 12 ქულა და მეტი, წერის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 20 – გამსვლელი 9 ქულა და მეტი, მეთოდიკის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 30 – გამსვლელი 13 ქულა და მეტი, ხოლო ლაპარაკის ნაწილში მაქსიმალური ქულაა 11, აქედან გამსვლელი 5 ქულა და მეტი.

ბ.ე) ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტესტი შედგება 2 ნაწილისაგან – პროფესიული ცოდნა (წერილობითი) და პრაქტიკული უნარ-ჩვევების (პრაქტიკული) ნაწილისგან, ტესტის თითოეულ ნაწილში მასწავლებელმა უნდა გადალახოს შიდა ზღვარი მაქსიმალური ქულის 40%-ზე მეტი, ანუ დააგროვოს 14 ქულა და მეტი.

2. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

ქეთევან ნატრიაშვილი
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

ახალი წიგნი

საქართველოს განათლების მატიანე



შემდგენელთა ჯგუფი:
ნათელა ვასაძე, აკადემიკოსი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი – ჯგუფის ხელმძღვანელი;
ავთანდილ ასათიანი, პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
რევაზ ბალანჩივაძე, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი;
იმერ ბასილაძე, პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
ლუბა ბიბილეიშვილი, პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
ინეზა იამანიძე, პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
თამაზ კარანაძე, პროფესორი, პედაგოგიკის დოქტორი;
დავით მალაზონია, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;
შოთა მალაზონია, პროფესორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი;
თამაზ ტატიშვილი, განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

გამოვიდა სამეცნიერო-პუბლიცისტური ნაშრომი „საქართველოს განათლების მატიანე“, რომელიც განათლების მეცნიერებათა საზოგადოებრივი აკადემიის გადაწყვეტილებით შეიქმნა. ორენოვანი – ქართულ-ინგლისური – გამოცემა პირველი ნაშრომია, რომელშიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აისახა ოცსაუკუნოვანი ქართული განათლების თავისებურებები. წიგნი, გარკვეულწილად, ენციკლოპედიური ხასიათისაა, ამიტომაც სასარგებლო იქნება როგორც ფართო მკითხველისთვის, ისე განათლების ისტორიის საკითხებით დაინტერესებული პირებისთვის.

„მატიანის“ მიზანია, წარმოაჩინოს განათლებისა და ქართული პედაგოგიკური აზრის განვითარების ისტორიის მთლიანი სურათი, საქართველოში უძველესი დროიდან არსებული განათლების ისტორიის სისტემატური და კანონზომიერი განვითარების ეტაპები, რაც, ვფიქრობთ, სათანადო წვლილს შეიტანს ქართული კულტურის წინსვლაში.

ოცი საუკუნის მანძილზე დაგროვილი სახელმწიფოებრივი და საგანმანათლებლო გამოცდილება, ფაქტები, მათი წარმოქმნის მიზეზები, ერის სულიერი მამებისა და საზოგადო მოღვაწეების ნააზრევი, ისტორიული პროცესების ურთიერთკავშირი დაედო საფუძვლად „მატიანის“ მტკიცებულებას, თუ რით იყო გამოწვეული ქართველთა მისწრაფება განათლებისაკენ. ქართველების ისეთი თვისებები, როგორებიცაა ტოლერანტობა, ერთგულება, მშვიდობიანი თანაარსებობა, საგანმანათლებლო ტრადიციების, ქართული კულტურისა და ადათ-წესების პატივისცემა, მომავალი თაობის აღზრდა-განათლების, მეცნიერების განვითარების გზების ძიება საქართველოს ფარგლებს გარეთაც და მრავალი სხვა, რაც სრული ჩამონათვალი არ არის, შეძლებისდაგვარად აისახა ამ წიგნში.“ – ვკითხულობთ რედაქტორის წინათქმაში.

წიგნში ნაკლები ყურადღება დაეთმო მოვლენათა შეფასებებს, რადგანაც ავტორები მიიჩნევენ, რომ ეს „მატიანის“ ფუნქცია არ არის და ცხადია, არ ნიშნავს თავად ისტორიული ჟამთასვლის, მასში განათლების დანიშნულების უგულებელყოფას. მკვლევრებმა თავი შეიკავეს XXI საუკუნის დასაწყისის საქართველოს განათლების სისტემაში შექმნილი ვითარების შეფასებისგან, რადგან ეს თაობის პრეროგატივად მიიჩნიეს. ნაშრომში განხილულია განათლების მდგომარეობა ქვეყნისთვის განსაკუთრებულად რთულ და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდში – საქართველოს პირველი დამოუკიდებლობის მოპოვების, მისი დაკარგვის, საბჭოური ეპოქის, მისი ნგრევისა და დამოუკიდებლობის აღდგენის დროს. პრობლემათა წარმოჩენამ „მატიანის“ შემდგენელ ჯგუფს საშუალება მისცა რეალურად განესაზღვრა ქვეყნის განვითარებაში მეცნიერების როლი. განსაკუთრებული ყურადღება კი პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მეცნიერებებს – განათლების დარგის მეცნიერული მართვის ძირითად საფუძვლებს დაუთმეს.

წიგნის რედაქტორი, ნათელა ვასაძე მადლიერებით იხსენიებს იმ ადამიანებს, ვინც რჩევებით, მასალების მიწოდებით, საინტერესო შენიშვნებით „მატიანის“ შემდგენელ ჯგუფს მუშაობის სტიმულს აძლევდა, განსაკუთრებულ მადლობას კი აკადემიკოს როინ მეტრეველს უხდის, *„რომელმაც გაგვაბედინა ესოდენ რთულ და საპასუხისმგებლო საქმესთან შეჭიდება“.* როინ მეტრეველი ნაშრომს საქართველოს განათლებისა და პედაგოგიკური აზრის ისტორიის წარმოჩენის წარმატებულ მცდელობად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ *„წიგნის ფუძემდებლური პარადიგმაა – განათლების სისტემა გამორჩეულად უნდა სცემდეს პასუხს ეროვნულ ინტერესებთან თანხმობაში მყოფ ზოგადსაკაცობრიო იდეებს.“*

„საქართველოს განათლების მატიანე“ კომპანია მაგთიკომის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა და იმ ადამიანებს ეძღვნება, ვინც ქართული განათლების აღორძინებასა და განვითარებას 20 საუკუნის მანძილზე ემსახურა.

„საქართველოს განათლების მატიანეს“ შემდგენელთა ჯგუფი

გამოცდები — 2016

2016 წელს გამოცდები ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარდება

შეფასების და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორმა, **მაია მიმინოშვილმა** საგანგებო ბრიფინგი გამართა ჟურნალისტებისთვის 2016 წელს გამოცდების ნაწილობრივ ელექტრონული ფორმატით ჩატარებასთან დაკავშირებით.

„დღეს იმ სიახლეებზე მინდა გესაუბროთ, რაც 2016 წლის ზაფხულის გამოცდებისთვის გვაქვს დაგეგმილი. მნიშვნელოვანი სიახლეა და გვინდა, რაც შეიძლება დროულად გამოვაცხადოთ, რომ ჩვენი აპლიკანტები მაქსიმალურად მომზადებულები შეხვდნენ ახალ ფორმატს, რომელსაც 2016 წელს შევთავაზებთ. აპლიკანტებში ვგულისხმობ არა მხოლოდ აბიტურიენტებს. მოგეხსენებათ, რომ ზაფხულის საგამოცდო პროცესში მონაწილეობენ არა მხოლოდ აბიტურიენტები, არამედ მაგისტრობის მსურველები, სტუდენტები, რომლებიც საგრანტო კონკურსში მონაწილეობენ და, რაც ყველაზე მთავარია, პედაგოგები, რომლებიც საგნობრივ გამოცდებს აბარებენ.

ჩვენ ვაპირებთ გამოცდების ელექტრონული ფორმით შემოღებას, თუმცა, ეს პირველი ეტაპია. იმისათვის, რომ აპლიკანტებისთვის ეს მტკივნეული არ იყოს, არ იგულისხმება მთლიანად ელექტრონული ფორმით გამოცდების ჩატარება. საუბარია ნახევრად ელექტრონულ ფორმატზე, მარტივად რომ ვთქვათ, ტესტურ დავალებებს აპლიკანტები ელექტრონული ფორმით მიიღებენ და არა ბეჭდურით. მათ მუშაობა მოუწევთ პასუხების ფურცლებზე. დანარჩენი არაფერი იცვლება, ყველა აპლიკანტს ექნება შესაძლებლობა შავი სამუშაოსთვის განკუთვნილ ფურცლებზეც იმუშაოს. კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, მხოლოდ და მხოლოდ ტესტურ დავალებებს მიიღებენ ელექტრონული ფორმით, დავალებას წაიკითხავენ ეკრანზე და პასუხების გაცემა ელექტრონული ფორმით, 2016 წელს, მათ არ მოუწევთ.

მთლიანად ელექტრონული ფორმით გამოცდების ჩატარება დაიგეგმება მაშინ, როდესაც დარწმუნებული ვიქნებით, რომ ჩვენს აპლიკანტებს, იქნებიან ეს პედაგოგები თუ აბიტურიენტები, არანაირი პრობლემა რა ექნებათ, რომ ელექტრონული ფორმით გასცენ პასუხი დავალებებს. ალბათ დამეთანხმებით, რომ თუნდაც თხზულების შემთხვევაში, ფიზიკაზე და მათემატიკაზე რომ არ ვისაუბროთ, სულ სხვაა, როცა წერ და სულ სხვაა, როცა ბეჭდავ. ამისთვის ყველა ერთად უნდა მოვემზადოთ. პირველი ეტაპი, ჩემი აზრით, სრულიად უმტკივნეულო შევთავაზოთ, თუმცა ეს იქნება ძალიან დიდი ნაბიჯი წინ.

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება პრინციპულად მიღებულია (2016 წელს ეს სიახლე შევთავაზოთ ჩვენს აპლიკანტებს), ეს წელიწადი, ბუნებრივია, წლის ბოლომდეც და შემდეგ უკვე გამოცდებამდე, დაეთმობა არაერთ აპრობაციას. პირველი აპრობაცია დეკემბერში გვაქვს დაგეგმილი. ავირჩევთ ერთ-ერთ საგამოცდო ქალაქს ან საგამოცდო ცენტრს, სავარაუდოდ, ეს იქნება თელავის საგამოცდო ცენტრი. გვინდა, მოვახერხოთ საგამოცდო პროცესის სრული იმიტაცია. ეს აპრობაცია, ძირითადად, გვაჩვენებს ტექნიკურად რა არის დასახვეწი. ბუნებრივია, ყველა საგამოცდო ცენტრი უნდა იყოს სათანადოდ აღჭურვილი და მაქსიმალურად კომფორტული ჩვენი აპლიკანტებისთვის. ასე რომ, დეკემბერში პირველი აპრობაცია გვაქვს, თებერვალში კი გაცილებით ფართომასშტაბიანი აპრობაცია და პილოტირება გვაქვს დაგეგმილი.

პირველი აპრობაცია არ გულისხმობს შინაარსობრივი მხარის აპრობაციას. ეს არის, ვიმეორებ, ტექნიკური ნაწილის შემოწმება, მუშაობს თუ არა ყველაფერი სათანადოდ. ბუნებრივია, აპრობაციის შემდეგ კიდევ გვექნება საუბარი კონკრეტულ დეტალებზე, გამოიკვეთება, რა უნდა დაიხვეწოს, შეიცვალოს. ბუნებრივია, ეს უკვე დეკემბრის მეორე ნახევრისთვის დაიგეგმება“.

მაია მიმინოშვილმა ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხა.

– ვინ მიიღებს მონაწილეობას დეკემბერში დაგეგმილ აპრობაციაში?

– ამჯერად გვინდა მოვიწვიოთ აბიტურიენტები, ძირითადად, მეთორმეტეკლასელები. შეგნებულად შევარჩიეთ ცენტრი არა თბილისში, არამედ რეგიონში და, როგორც მოგახსენეთ, სავარაუდოდ, იქნება თელავი ან ოზურგეთი. შევარჩიეთ ისეთი საგამოცდო ცენტრი, რომელიც არ არის დიდი. იმიტომ რომ, აპრობაციისთვის სრულიად საკმარისია 20-დან 30 სექტორამდე შევავსოთ, მაგრამ საგამოცდო ცენტრი ნამდვილად ისე იქნება მოწყობილი, როგორც გამოცდის დროს.

რაც ყველაზე მთავარია, ნებისმიერ აპლიკანტს ექნება შესაძლებლობა, ბუკლეტის ელექტრონული ფორმატი იხილოს ნოემბრის ბოლოსთვის, ჩვენს ვებგვერდზე – www.naec.ge განთავსდება ელექტრონული ტესტური ბუკლეტების ნიმუშები. პარალელურ რეჟიმში, ჩვენმა ორგანიზაციამ წამოიწყო ახალი პროექტი, რომლის აპრობაციაც ახლა მიმდინარეობს – „აბიტურიენტების მხარდამჭერი პროექტი“. თუმცა, ვვარაუდობ, რომ შემდეგ ეტაპზე უკვე ნებისმიერ აპლიკანტს – მაგისტრობის მსურველებს, პედაგოგებს – ექნება შესაძლებლობა, შეაფასოს თავისი თავი, ცოდნა და შესაძლებლობები. ვინც ამ პროექტში ჩაერთვება, მეტი შესაძლებლობა ექნება, მთლიანად გაიაროს პროცესი, დაწყებული ტესტირების იმიტაციით ელექტრონული ფორმატით და დასრულებული გასწორების პროცედურით და შედეგების მიღებით.

– რამ განაპირობა ელექტრონულ ფორმატზე გადასვლის აუცილებლობა?

– 21-ე საუკუნეში კითხვა – რატომ არის აუცილებელი ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, თუნდაც სასწავლო პროცესში თუ შეფასების სისტემაში, მარტივად საპასუხოა – ახალი ტექნოლოგიები გაცილებით ეფექტურია, მეტ შესაძლებლობებს გვაძლევს, განსაკუთრებით შეფასების კუთხით, გაცილებით მრავალფეროვანია. თუ არ დავიწყეთ იქითკენ სვლა, რომ საბოლოოდ მთლიანად ელექტრონულ ფორმატზე გადავიდეთ, ბუნებრივია, ამას ერთ ან ორ წელიწადში ვერ მოვახერხებთ. საუბარია იმაზე, რომ თუნდაც ნახევრად ელექტრონული ფორმატი რატომ უნდა იყოს უფრო მისაღები ჩვენთვისაც და, პირველ რიგში, აპლიკანტებისთვის. ეს ფორმატი გვაძლევს შესაძლებლობას, თვითონ ტესტური დავალებები იყოს უფრო მრავალმხრივი. მაგალითად, ბეჭდური სახით ბუკლეტების მიწოდება, ბუნებრივია, გარკვეულ შეზღუდვებს ითვალისწინებს – არ შეიძლება ტესტური ბუკლეტი იყოს, მაგალითად, 100-გვერდიანი. ამ შემთხვევაში, ჩვენ იძულებული ვართ, ერთ გვერდზე მოვათავსოთ არა ერთი დავალება, არამედ რამდენიმე და მაქსიმალურად გამოვიყენოთ ცარიელი ადგილები, რომ ტესტის ბუკლეტი არ იყოს წიგნივით აკინძული. ელექტრონული ფორმატის შემთხვევაში, არ ხარ გვერდებით შეზღუდული და ერთ გვერდზე შეიძლება ეკრანზე განათავსო მხოლოდ ერთი დავალება.

მეორე, ბუნებრივია, ბეჭდური სახის ბუკლეტში ჩვენ გვაქვს ფერადი გვერდები, მაგალითად, ბიოლოგიის ან ხელოვნების ტესტში. იმიტომ რომ, დავალება კარგად აღიქვას აპლიკანტმა, აუცილებელია, მიაწოდო ფერადი ნახატით, მაგრამ არის ისეთი დავალებებიც, სადაც სასურველია ნახატი იყოს ფერადი. ელექტრონულ ფორმატში არც ამით ვართ შეზღუდული. მესამე, ბუნებრივია, ამას 2016 წელს არ შევთავაზებთ, მაგრამ დავალებების მიწოდების დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ ანიმაციები, რაც ასევე ეფექტურია და შემდეგი ნაბიჯი სწორედ ეს იქნება.

მეოთხე, მაგალითად, ზოგადი უნარების ტესტი რომ ავიღოთ, გასწორების პროცესი გაცილებით ხანმოკლე იქნება. თქვენ იცით, რამდენი ხანი ელოდებიან აბიტურიენტები შედეგებს. ბუნებრივია, იქ, სადაც გამსწორებელია საჭირო, მაგალითად, ქართულ ენასა და ლიტერატურაში თემა სწორდება, ეს პროცესი ასეთივე იქნება, მაგრამ ელექტრონული ფორმატის შეთავაზება გვაძლევს შესაძლებლობას, აბიტურიენტებს ძალიან მალე ვაცნობოთ შედეგები, ვთქვათ, ზოგად უნარებში. ამ შემთხვევაში, არ არის საჭირო ბევრი პროცედურის გავლა, პასუხების ფურცლების სკანირება და ა.შ.

2016 წელს ისევ პასუხების ფურცლებში მოუწევთ აბიტურიენტებს პასუხების მონიშვნა, მაგრამ 2017 წლისთვის, რა თქმა უნდა, უკვე შეგვიძლია ვიფიქროთ იმაზე, რომ ელექტრონული ფორმით გასცენ პასუხები. ასეთ შემთხვევაში, მომენტალურად შეიძლება მიიღოს შედეგი აბიტურიენტმა თუ სხვა აპლიკანტმა. საბოლოო ჯამში, ელექტრონული ფორმით გამოცდების ჩატარება ძალიან ბევრ და მრავალმხრივ შესაძლებლობებს გვაძლევს.

თუმცა, ისევ ვიმეორებ, რომ ერთ წელიწადში მთლიანად ელექტრონული ფორმით გამოცდების ჩატარებაზე ვერ გადავალთ, რომ ეს ნელ-ნელა და ეტაპობრივად უნდა განვახორციელოთ, ჩვენი აპლიკანტების მდგომარეობის გათვალისწინებით. 2016 წელი ნამდვილად პირველი ნაბიჯია იმისთვის, რომ შემდეგ უფრო მრავალმხრივი გახდეს პროცესი.

– რა არის საჭირო, რომ საგამოცდო ცენტრები შესაბამისი ტექნიკით აღიჭურვოს? ალბათ გარკვეული დაფინანსებაა საჭირო?

– საუბარი იმაზეა, რომ საგამოცდო ცენტრები რომ შესაბამისი ტექნიკით აღიჭურვოს, აპლიკანტს უნდა ჰქონდეს პლანშეტი, ლეპტოპი, გამოვიყენოთ Wi-Fi თუ სხვა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი შესასყიდია.

ორი გზა არსებობს. პირველი გზა – ორგანიზაციამ ეს ყველაფერი შეისყიდოს, რადგან მისი გამოყენება შეუძლია წლების განმავლობაში, მაგრამ არსებობს მეორე გზა, რომელიც, ჩემი აზრით, გაცილებით ეფექტურია. თქვენ იცით, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ყოველ წელს აცხადებს ტენდერს და შეიძენს ტექნიკას (აქ შედის პირველკლასელებისთვის საჩუქრები, მასწავლებლებისთვის საჩუქრები და ა.შ.). ჩემი აზრით, გაცილებით ეფექტურია, გარკვეული დროით, გამოცდების პერიოდში, ვითხოვოთ ეს ტექნიკა (ჩვენთვის საკმარისი რაოდენობა) და ზუსტად ისეთივე მდგომარეობაში, შეფუთული, დავუბრუნოთ განათლების სამინისტროს. ეს, ყველა შემთხვევაში, სამინისტროს გადასაწყვეტია. თუ მეორე გზას ავირჩევთ, პირდაპირ გეტყვით, რომ თანხებთან დაკავშირებით, დაჯდება ნული და სახელმწიფო ძალიან დიდ თანხას დაზოგავს, რადგან ნამდვილად არ ჯდება იაფი საზღვარგარეთ ტესტების დაბეჭდვა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს მთელ რიგ პროცედურებთანაა დაკავშირებული – სტამბასთან ვაფორმებთ ხელშეკრულებას და მას მხოლოდ და მხოლოდ ბეჭდვას კი არ ვთხოვთ, ვაძლევთ ზუსტ მითითებებს იმის თაობაზე, როგორ ჩაალაგოს საგამოცდო ცენტრების და ქალაქების მიხედვით ტესტების პაკეტები. შემდეგ ეს ტესტები ჩამოდის საქართველოში და ნაწილდება საგამოცდო ცენტრების მიხედვით. ერთი შეცდომაც კი, ვთქვათ თელავის საგამოცდო ცენტრისთვის განკუთვნილი ტესტების პაკეტი თუ არ იქნება იმ რაოდენობის და იმის ნაცვლად, რომ თელავში გაიგზავნოს, აღმოჩნდება ახალციხეში, ბუნებრივია, ძალიან დიდი საშიშროების ქვეშ დგას თვითონ ეს პროცესი. ამიტომაც, ყოველწლიურად, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ „ბეწვის ხიდზე გავდივართ“, თუმცა ამ სტამბასთან მართლაც ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს აწყობილი და, ჯერჯერობით, შეცდომა არ მოსვლიათ ჩალაგების დროს.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენი მაკულატურაა გამოცდების დასრულების შემდეგ, იმიტომ რომ, ის ტესტების ბუკლეტები უკვე მაკულატურაა. რა თქმა უნდა, ბუნებრივია, ამასაც ავიცილებთ თავიდან.

– რამდენად იქნება დაცული ელექტრონული ტესტები?

– სწორედ ამ მიმართულებით ინტენსიურად იმუშავა ჩვენი საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა და დეკემბერში, პირველ რიგში, სწორედ ამის გამოცდა გვინდა – რამდენად იქნება დაცული ელექტრონული ვერსიები. საუბარია იმაზე, რომ ზუსტად 9 საათზე იწყება გამოცდა, პირობითად, ზუსტად 9 საათზე მოახერხებს აპლიკანტი, გახსნას შესაბამისი ელექტრონული ფორმატი? ამ პერიოდში, როგორ ავიცილოთ თავიდან რაიმე პრობლემა. სწორედ ამის აპრობაცია არის დეკემბერში და არა შინაარსობრივი მხარის.

წინა წლებში, ეს დაცული პაკეტი იხსნებოდა აბიტურიენტების თვალწინ და ბუკლეტები ურიგდებოდათ აბიტურიენტებს. ეს ბუკლეტი, როდესაც პაკეტები ყველა საგამოცდო ცენტრში გაიხსნება, უკვე კონფიდენციალური აღარ არის. როდესაც გამოცდა სრულდება, გამოყენებული ტესტის ბუკლეტებს ვათავსებთ ჩვენს ვებგვერდზე. ასე რომ, საუბარია იმაზე, რომ მაქსიმალურად ვიყოთ კონცენტრირებული, რომ სანამ საგამოცდო ცენტრში ელექტრონული ფორმა გაიხსნება, მანამდე იყოს მაქსიმალურად დაცული.

– მოხდება თუ არა ქულების დაჯამება ავტომატურად?

– ავტომატურად ქულების დაჯამება ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მოხდება, თუნდაც სრულად ელექტრონული ფორმატის შემთხვევაში. ქულების ავტომატურად დაჯამება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავალებები არის დახურულბოლოიანი, ანუ არჩევითპასუხიანი, სადაც უნდა მონიშნო სწორი პასუხი. მოგეხსენებათ, რომ დავალებების უმეტესობა ყველა საგანში, გარდა ზოგადი უნარებისა, არის ღია, სადაც აბიტურიენტმა უნდა ჩაწეროს პასუხი, თხზულება უნდა დაწეროს ან ამოხსნას. გასწორების პროცესი გამარტივდება იმ თვალსაზრისით, რომ მომენტალურად შეიძლება გასწორდეს დახურულბოლოიანი დავალებები, მაგალითად, ზოგადი უნარების ტესტი იმ შემთხვევაში, თუ პასუხებს ელექტრონულად გასცემს აბიტურიენტი.

ვფიქრობ, შემდეგი ეტაპი იქნება 2017 წლისთვის, როცა აპლიკანტებს შევთავაზებთ ასეთ დავალებებზე ელექტრონულად პასუხის გაცემას. ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, ავტომატურად დაითვლება შედეგი და, მაგალითად, აბიტურიენტებს ექნებათ შესაძლებლობა, ძალიან მალე შეიტყონ შედეგი ზოგად უნარებში, რომელიც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცდაა.

– რომელ საგანში ჩატარდება აპრობაცია?

– არ აქვს მნიშვნელობა რომელ საგანს ავირჩევთ, იმიტომ რომ, ისევ ვიმეორებ, ეს აპრობაცია ტექნიკურ მხარეს ეხება. ჩვენ უნდა მოვახერხოთ იმის აპრობაცია, რამდენი სექტორის მოცვა შეუძლია ჩვენ მიერ დამონტაჟებულ Wi-Fi-ს წერტილებს ერთ საგამოცდო ცენტრში, მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დავიწყოთ ფიქრი, რამდენი Wi-Fi წერტილი დაგვჭირდება მთელი საქართველოს მასშტაბით, რამდენად არის ჩვენ მიერ დაგეგმილი პროცედურით დაცული კონფიდენციალურობა, რამდენად კარგად მიდის და იხსნება დავალება და ა.შ. ასე რომ, აქ დიდი მნიშვნელობა არ აქვს რომელ საგანს შევთავაზებთ.

– „აბიტურიენტების მხარდამჭერი პროექტი“

– ახლა ამ პროექტის აპრობაცია მიმდინარეობს. საუბარია იმაზე, რომ აბიტურიენტი (მომავალში ყველა აპლიკანტს შევთავაზებთ) რეგისტრირდება და არის რამდენიმე შესაძლებლობა: უნდა, რომ ელექტრონული ფორმით ტესტური ბუკლეტი მიიღოს, თვითონ გაივარჯიშოს მასწავლებელთან ერთად და ა.შ., ეს ყველასთვის უფასოა. შემდეგი შეთავაზება გახლავთ ის, რომ თუ მათ სჭირდებათ გამოცდების ეროვნული ცენტრის მომსახურება, დამატებით – ვუგზავნით პასუხების ფურცლებს, ისეთივეს, როგორიც ექნებათ გამოცდაზე; მათ შეუძლიათ თვითონვე მოიწყონ სამუშაო პირობები – სამი საათია გამოყოფილი ზოგადი უნარებისთვის, დაინიშნონ დრო და სამ საათში რასაც მოახერხებენ, ის შეასრულონ. შემდეგ ამას კონვერტში დებენ და აგზავნიან. იმუშავებს გამსწორებელთა ის ჯგუფი, ვინც ზაფხულში მუშაობს ჩვენთან ერთად, ასწორებენ აბიტურიენტების ნამუშევრებს და მათ პირად გვერდზე ათავსებენ შედეგებს.

მესამე შეთავაზება გახლავთ ის, რომ, თუ ოთხ საგანს, ანუ გამოცდას აირჩევს აპლიკანტი – სამი სავალდებულო და ერთ-ერთი – არჩევითი, ვთავაზობთ ასეთ რამეს – ავტომატურ რეჟიმში, პროგრამა დაუთვლის მას საკონკურსო ქულას კონკრეტული ფაკულტეტისთვის და ექნება შესაძლებლობა, ნებისმიერი ფაკულტეტი აირჩიოს. მაგალითად, უნდა ჯავახიშვილის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტზე სწავლა, ავტომატურ რეჟიმში, ამ ფაკულტეტის საკონკურსო ქულას დაუთვლის და ექნება შესაძლებლობა, შეადაროს, 2015 წელს რომ მიეღო მონაწილეობა ერთიან ეროვნულ გამოცდებში, მოახერხებდა თუ არა მისთვის სასურველ ფაკულტეტზე ჩარიცხვას.

ტესტური დავალებების ელექტრონული ფორმა უსასყიდლოა, ნებისმიერს შეუძლია აიღოს და ისარგებლოს – ამობეჭდოს ან ელექტრონული ფორმით შეავსოს. ხოლო დამატებით მომსახურება – გამსწორებლების დაქირავება და მათი მუშაობა, რა თქმა უნდა, ფასიანია.

მოამზადა ლალი თვალაბეიშვილმა

კონცეფცია

თანადგომის გარეშე დარჩენილები – 18+

ლალი ჯელაძე

სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ბავშვების მომავალი, სრულწლოვანების შესრულების შემდეგ, ხშირ შემთხვევაში, ბუნდოვანია. ყოველწლიურად 100-მდე მზრუნველობას მოკლებული ახალგაზრდა 18 წლის ხდება. მათგან ბევრს არ უმართლებს, ზოგი იღბლიანია და მათ შემდგომ ცხოვრებაზე არასამთავრობო ორგანიზაციები ზრუნავენ. სახელმწიფო კი, ჯერჯერობით, არაფერს სთავაზობთ და ისინი ყოველგვარი თანადგომის გარეშე, მარტო რჩებიან პრობლემის წინაშე – სად წავიდნენ, რა გააკეთონ, როგორ იცხოვრონ, როგორ გადაირჩინონ თავი18 წლის შემდეგ, სამწუხაროდ, ნაწილი არასწორ გზას ირჩევს. სრულწლოვანების შესრულების შემდეგ სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ბავშვების მომავალი, ხშირ შემთხვევაში, მართლაც რომ ბუნდოვანია, ამას თვითონ ახალგაზრდებიც ადასტურებენ: *„რთულია გადარჩე და შეინარჩუნო ის დადებითი თვისებები და ღირებულებები, რაც მანამდე გქონდა, სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში ყოფნის დროს. 18 წლის შემდეგ აღმოჩნდები პირისპირ იმ რეალობის წინაშე, რომელიც გასვლის დღიდან გაგრძნობინებს, რომ არავის სჭირდები, არავინ დაგეხმარება, ამიტომ მოგიწევს ბრძოლა გადარჩენისთვის.“* – ეს სიტყვები ერთ-ერთ ახალგაზრდას ეკუთვნის, ვისაც უშუალოდ შეეხო ეს პრობლემა.

საცხოვრებელი, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, დასაქმება, სოციალიზაცია – ამ პრობლემებს მზრუნველობამოკლებული ბავშვები სრულწლოვანების შემდეგ მარტონი ხვდებიან. საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშემწყობი პროგრამები ძალიან ცოტაა. ამ საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების აზრით, სახელმწიფომ, ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვების დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებისა და შემდგომი მხარდაჭერისთვის, ქმედითი ნაბიჯები უნდა გადადგას – მათ მომავალზე ვიღაცამ ხომ უნდა იზრუნოს.

სწორედ ამ თემაზე სასაუბროდ ფრონტლაინ კლუბში მოეწყო მორიგი დისკუსია, რომელიც „ფრონტლაინ ჯორჯია“ კლუბისა და ჟურნალ „ლიბერალის“ ერთობლივი პროექტის – „დისკუსიები ბავშვთა უფლებების თემაზე“ – ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ტარდება.

საუბარი საკმაოდ საინტერესო და საჭირბოროტო თემაზე დაიძრა. დღემდე ამ ახალგაზრდების ბედით, მართლაც, არავინ ინტერესდება. წლების განმავლობაში ისინი სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ იმყოფებიან და სრულწლოვანების შემდეგ ხშირად შიშველი ხელებით, აბსოლუტურად მოუმზადებლები იწყებენ ცხოვრებას. ადრე, როცა ბავშვთა სახლები არსებობდა, ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდებს სრულწლოვანების შემდეგ, რომელთაც წასასვლელი არსად ჰქონდათ, ისევ ბავშვთა სახლი მფარველობდა, წლების განმავლობაში შეკედლებული ცხოვრობდნენ უჩინრად, მათ მომავალზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

რა მდგომარეობაა დღეს ამ მიმართულებით და სად მიდიან სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან ის სრულწლოვანი ახალგაზრდები, ვისაც წასასვლელი არსად აქვთ, რა პროგრამები და სოციალური მომსახურება არსებობს მათთვის – ამ საკითხებზე დისკუსიაში მონაწილეობდნენ: ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსი **ნუცა ოდიშარია**, ჯანდაცვის სამინისტროს მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის უფროსი **მარი წერეთელი** და „საქართველო SOS ბავშვთა სოფელი“ და „საქართველოს კოალიცია ბავშვებისა და ახალგაზრდების კეთილდღეობისათვის“ წარმომადგენელი **მარინა შაღაშვილი**. დისკუსიას გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი **ჯაბა ნაჭყებია** უძღვებოდა.

ორგანიზაცია „საქართველოს ბავშვების“ ახალგაზრდული საბჭოს წევრი **მირანდა ზგირვაჩი** „ფრონტლაინ ჯორჯიაში“ გამართულ დისკუსიაზე ერთ-ერთ მომხსენებლად წარდგა. ის ფონდ „ნატახტარის“ ბენეფიციარი იყო და საკუთარ თავს გადახდენილი უამბო საზოგადოებას, თუ როგორ შეძლო წარმატების მიღწევა სხვების თანადგომითა და დახმარებით: *„სამწუხაროდ, გარკვეული სირთულეების გამო, გვიან მომიწია სკოლაში მისვლა, უკვე 8 წლის ვიყავი. დიდი პერიოდი დამჭირდა იმისთვის, რომ კარგად სწავლა დამეწყო. დიდ ბავშვთა სახლში როცა ვცხოვრობდი, სწავლა გამიჭირდა, ჩემით ვერ ვძლევდი პროგრამას და მჭირდებოდა დამატებით პედაგოგის დახმარება. მაგრამ, შეუძლებელი იყო, ჩემთვის ვინმეს პედაგოგი დაექირავებინა. ამიტომ დავიწყე ჩემ თავზე მუშაობა, ვცდილობდი სკოლაში მასწავლებლებისთვის მეტი მომეთხოვა, როცა დახმარება მჭირდებოდა, მათ ვთხოვდი დახმარებას და იმაზე ვიყავი ორიენტირებული, რაც შეიძლება მეტი წამომეღო სკოლიდან. ამან, რასაკვირველია, შედეგი გამოიღო და შევძელი დამოუკიდებლად სწავლა. მცირე საოჯახო ტიპის სახლში ცხოვრებისას კი იყო შემთხვევები, როცა ვიღაც ინიციატივას გამოიჩენდა, მოდიოდა მოხალისედ და გვამეცადინებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ინიციატივებიც წყდებოდა და ისევ ვრჩებოდით მარტო ან უბრალოდ იყო საგნები, რომლის პედაგოგებიც არ იჩენდნენ მსგავს ინიციატივებს. ამიტომაც დამოუკიდებლად მიწევდა მეცადინეობა. მერე გამოჩნდა ერთ-ერთი კეთილი ადამიანი, ის კალიფორნიაში ცხოვრობს და აქვს ორგანიზაცია, რომელიც სწორედ სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვებზე ზრუნავს. მან სპეციალურად გამოყო თანხა იმისთვის, რომ ჩემნაირი ბავშვებისთვის მასწავლებლები ექირავებინა, მოემზადებინა ისინი საატესტატო გამოცდებისთვის. საბედნიეროდ, მე ამ პროგრამაში მოვხვდი და ორი წლის განმავლობაში – მე-11 და მე-12 კლასებში ვემზადებოდი პედაგოგებთან. შარშან დავამთავრე სკოლა, წელს „საქართველოს უნივერსიტეტის“ სტუდენტი გავხდი და ფონდ Ele Lembra-ს დახმარებით, სწავლას ამერიკის შეერთებულ შტატებში გავაგრძელებ. მე წილად მხვდა მაქსიმალური ხელშეწყობა კეთილი ადამიანების მხრიდან, რომ განვვითარებულიყავი და მიმეღო განათლება.“*

მირანდა ზგირვაჩის წარმატების ისტორია ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია, როგორ შეიძლება დაეხმაროს სახელმწიფო თუ არასამთავრობო სექტორი სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში მყოფ ახალგაზრდებს.

ჯერჯერობით, ასეთი ახალგაზრდების წარმატება და მომავლის ხელშეწყობა მხოლოდ კერძო ინიციატივებზეა დამოკიდებული, სახელმწიფოს მხრიდან კი მსგავსი სერვისები არ არსებობს, მხოლოდ ლოკალური ჩარევები პრობლემას, ბუნებრივია, ვერ მოაგვარებს. ყოველგვარი ზრუნვის გარეშე დარჩენილი ახალგაზრდებისთვის საჭიროა ისეთი კომპლექსური სისტემის შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს მათ მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. „ბავშვთა და ახალგაზრდობის კეთილდღეობის კოალიციის“ ფარგლებში, ამ თემაზე მუშაობა დაიწყო და სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე შემუშავდა კონცეფცია. განისაზვრა ის სახელმწიფო უწყებები, რომლებსაც შეიძლება დაეკისროთ პასუხისმგებლობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად, რადგან, მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო არ უნდა იყოს ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, რომელსაც ამ ახალგაზრდებზე ზრუნვა ევალება. *„ასეთივე მზრუნველ უწყებად განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, რადგან სწორედ ამ სამინისტროს მიზნობრივი ჯგუფი უნდა იყოს სახელმწიფოს მზრუნველობიდან გასული ახალგაზრდები* – განაცხადა **მარინა შაღაშვილმა**, – *კონცეფციის ფარგლებში, ორი მიმართულებით მიმდინარეობდა მუშაობა. პირველი ნაწილი – სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ ყოფნის პერიოდში, 14-დან 18-წლამდე ახალგაზრდებისთვის, სერიოზული პროგრამის მომზადებას გულისხმობს, რომელიც ბავშვებს დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოამზადებს, განუვითარებს უნარ-ჩვევებს, რომ შეძლონ დამოუკიდებლად ცხოვრება. მეორე ნაწილი კი – 18 წლის ზემოთ ახალგაზრდებისთვის მხარდაჭერას გულისხმობს. ჩემი ორგანიზაციის გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ 18 წელი სწორედ ის ასაკია, როცა ახალგაზრდებს სერიოზული მხარდაჭერა სჭირდებათ იმისთვის, რომ მიიღონ პროფესიული ან უმაღლესი განათლება ან დასაქმდნენ და წარმატებულად წარიმართოს მათი ცხოვრება, როგორც ეს მირანდას შემთხვევაში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ „საქართველო SOS ბავშვთა სოფელში“ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში ცხოვრობენ, მაინც ვერ ვიტყვი, რომ მათგან ბევრი შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას – 100-დან შეიძლება 2 პროცენტი აღმოჩნდეს ისეთი, ვინც საკუთარ თავზე იზრუნებს.*

კოალიციამ წარადგინა მომზადებული კონცეფცია ჯანდაცვის სამინისტროსა და სააგენტოსთან. მივესალმები, რომ ამ ფაქტზე, სახელმწიფომ მხოლოდ ფიქრი კი არ დაიწყო, არამედ რეალური ნაბიჯები გადადგა მომსახურებების განვითარებისთვის. შესაძლოა ეს არ იყოს უშუალოდ სახელმწიფოს მიერ წარმოებული მომსახურება, მაგრამ ორგანიზაციები, ვინც ამაზე იმუშავებენ, სტანდარტის ფარგლებში მოექცევიან.“

კონცეფციის მიხედვით, განისაზღვრა ის მინიმალური სავალდებულო მოთხოვნები, რაც მომსახურების მიწოდების პროცესში უნდა დააკმაყოფილონ სახელმწიფო თუ არასამთავრობო ორგანიზაციებმა. პირველი საცხოვრებელი ადგილია, რომელიც სჭირდებათ ახალგაზრდებს და მეორე – დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოსამზადებელი სოციალური და ცხოვრებისებული უნარ-ჩვევების განვითარება, განათლებაში ხელშეწყობა. ამ მომსახურებების გარდა, აუცილებელია მათთვის შედგეს ბიუჯეტი, რომლის თანხები დაიხარჯება კვებაზე, კომუნალურ გადასახადებსა თუ სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროებებზე. თუკი ასეთი მხარდაჭერა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე არ განხორციელდა, ის ბავშვები, რომლებზეც წლების განმავლობაში ზრუნავს სახელმწიფო, სრულწლოვნების შემდეგ, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე დარჩებიან.

ჯანდაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის დეპარტამენტის უფროსმა, **ნუცა ოდიშარიამ** აღნიშნა, რომ ვიდრე სახელმწიფო დაიწყებდა ამ საკითხებზე მუშაობას, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ და ბიზნეს კომპანიამ ეს სერვისები თავიდანვე განავითარა, მაგრამ აუცილებელია სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა: *„ბოლო მონაცემებით, არ გვყავს ბევრი ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც წასასვლელი არსად აქვს. სხვა საკითხია, სურთ თუ არა მათ, სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასვლის შემდეგ, ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნება. რადგან ეს თემა კოალიციის ფარგლებში წამოიჭრა, ჩვენ გაფართოებული შეხვედრები მოვაწყვეთ კონცეფციის განსახილველად. შეხვედრებზე დავრწმუნდით, რომ ჩარჩოებში უნდა მოვაქციოთ ეს ყველაფერი და შევთანხმდით სტანდარტის მომზადებაზე. სამი შეხვედრა მოეწყო სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან, რომელშიც ჩართული იყო ჯანდაცვის სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, იუნისეფი და მერია. იმედი გვაქვს, მალე გვექნება ზოგადი სტანდარტი, რათა შევთანხმდეთ ზუსტ მექანიზმებზე, მაგალითად, ბავშვებს ფული მივცეთ თუ საკვები, ამაზე შიგნითაც ვერ ვთანხმდებით. ამიტომ უმჯობესია, საჭიროების მიხედვით, შიგნით გადაწყდეს, როგორი მომსახურება იქნება მისაღები. რამდენიმე სიტყვით მინდა შევეხო ასევე განათლების საკითხს – მზურნველობამოკლებულ ბავშვებს აქვთ სოციალური გრანტი და თუკი მირანდას მსგავსად, ისურვებენ სწავლის გაგრძელებას, შეუძლიათ ისარგებლონ დაფინანსებით. ერთ-ერთი მიმართულება, რომელზეც ბოლო წლების განმავლობაში სამინისტრო მუშაობს, სათემო ორგანიზაციის განვითარებაა, სადაც სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსულ ბავშვებს ან შშმ პირებს შეუძლიათ გააგრძელონ ცხოვრება. თუმცა, ამჟამად, არც იქ არის სახარბიელო მდგომარეობა, ასეთი სერვისი სულ ერთი-ორია თბილისში. დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეს სერვისებიც განვავითაროთ. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია.“*

„რეალურად იქმნება მოდელი, რომლის საფუძველზეც სახელმწიფომ, გარკვეულ პერიოდში, ბავშვთა კეთილდღეობაზე ზრუნვის რეფორმა უნდა დაასრულოს და დარჩენილი ინსტიტუციები შშმ ბავშვების ოჯახური ტიპის დაწესებულებად გარდაქმნას, – აღნიშნა **ჯაბა ნაჭყებიამ**, – *საქართველომ რატიფიცირება გაუკეთა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კონვენციას, რომელიც ითვალისწინებს როგორც ბავშვების, ასევე ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობას, რაც ასევე უნდა იყოს დაცული და ამოსავალი წერტილი ამ სერვისების დანერგვისას. მოდელის შექმნისას სერვისები ორიენტირებული უნდა იყოს თემში ინტეგრაციაზე და არა სეგრეგაციაზე ან იზოლირებაზე“.*

სტანდარტის შექმნა თავისთავად გააჩენს გარკვეულ რეგულაციებს, რომელიც მზურნველობამოკლებულ ბავშვებზე სრულწლოვანების შემდეგაც იზრუნებს. როგორც ირკვევა, არც თუ ბევრია ისეთი ახალგაზრდა, რომელიც სახელმწიფო ზრუნვიდან გამოსვლის შემდეგ, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე, მარტო იწყებს ცხოვრებას. **მარი წერეთლის** მონაცემებით, 2014 წელს, მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან სულ 34 ახალგაზრდა გავიდა, აქედან 12 ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნდა, 8 სრულწლოვანი გადავიდა ახალგაზრდულ სახლში, ესენი არიან SOS ბავშვთა სოფლის ბავშვები, რომლებიც ამ სერვისს იღებენ, 5-ს დაეხმარა ფონდი „ნატახტარი“. *„რეალურად, ამ მონაცემებით, არც ერთი ახალგაზრდა არ გასულა მცირე საოჯახო ტიპის სახლიდან ისე, რომ არ ვიცოდეთ სად წავიდა და სამომავლოდ რა გეგმები აქვს. თუმცა, სახელმწიფო ზრუნვაში გაცილებით მეტი ბავშვია. მინდობითი აღზრდიდან, 2014 წელს, სულ 60 ბავშვი გავიდა, აქედან 44 ბიოლოგიურ ოჯახს დაუბრუნდა, 5 ახალგაზრდა არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით დაბინავდა – მათ ბინა უქირავეს, რამდენიმე სამხედრო სამსახურში წავიდა. ასეთია დღევანდელი სტატისტიკა.*

მინდა ყურადღება ერთ საკანონმდებლო ცვლილებაზე გავამახვილო – მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრებ ბავშვებს, სრულწლოვანების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, ისევ საოჯახო ტიპის დაწესებულებაში ყოფნის უფლება ჰქონდათ. ამ უფლებას მათ კანონში არსებული ჩანაწერი აძლევდა. წელს ცვლილება განხორციელდა მინდობით აღზრდის კანონში და ასეთი ჩანაწერი გაკეთდა – მინდობით აღზრდაში მყოფ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში, აღარ მოუწევთ სერვისების ცვლა.

შეხვედრების დროს შევთანხმდით იმაზე, რომ ეს უნდა იყოს სისტემა, სადაც არა მხოლოდ ჯანდაცვის სამინისტრო იქნება ჩართული, არამედ სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროც. ჯერჯერობით, სტანდარტზე ვმუშაობთ, მათი მხრიდან, საწყის ეტაპზე, მზაობაა. ამდენად, იმედია, ყველა ერთად, მივაღწევთ იმ იდეალურ ვარიანტს, რომელიც დაეხმარება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, სრულწლოვანების შემდეგაც მიიღონ თანადგომა და მხარდაჭერა დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად“.

დისკუსია მართლაც გარკვეულ იმედს იძლევა, რომ მზრუნველობამოკლებული ბავშვები, სრულწლოვანების შემდეგაც, გარკვეულ ეტაპამდე, მიიღებენ მხარდაჭერას და თანადგომას, რომ დამოუკიდებლად შეძლონ ცხოვრება და არ დარჩნენ ისევ მიუსაფარნი. ეს მართლაც მნიშვნელოვანი თემაა, რადგან საქართველოში ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული დამოკიდებულება, რომ 18 წლის ახალგაზრდა დამოუკიდებლად ცხოვრობდეს. ჩვენთან ხომ 25 წლის ახალგაზრდასაც ბავშვს ეძახიან, მით უფრო, გაცილებით რთულადაა იმ ახალგაზრდების მდგომარეობა, რომლებიც სახელმწიფო ზრუნვის სისტემაში იმყოფებიან და სრულწლოვანები სწორედ იქ ხდებიან. დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყებად, ისინი აბსოლუტურად მოუმზადებლები არიან, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ქვეყანაში გვაქვს მინდობითი აღზრდა, ასევე, მცირე საოჯახო ტიპის სახლები, რომლებიც ოჯახურ გარემოს სთავაზობენ მათ, რაც ყველა ტიპის მომსახურებას გულისხმობს – ჯანდაცვით დაწყებული განათლების საჭიროებით დამთავრებული.18 წლის შემდეგ განსაკუთრებულად ბუნდოვანია იმ ახალგაზრდების ცხოვრება და მომავალი, ვისაც ბიოლოგიური ოჯახი არ აქვს ან, უბრალოდ, უსახლკაროა. ყველა ზემოჩამოთვლილ სერვისს, სტანდარტით, გარკვეული ფუნქცია ეკისრება, რომ 14-დან 18 წლამდე მოზარდები დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მოამზადონ, მაგრამ მაინც ვერ გავდივართ სასურველ შედეგზე – სრულწლოვანების შემდეგ მათთვის კიდევ უფრო რთული პერიოდი იწყება. სწორედ ამიტომ გვჭირდება სისტემა, რომელიც ახალგაზრდებს დღევანდელი შრომის ბაზრისთვის კონკურენტუნარიანებად აქცევს და დამოუკიდებლად ცხოვრების გაგრძელების გარანტია იქნება.

თანადგომით და მხარდაჭერით,18 წლის შემდეგ, ამ ახალგაზრდების ცხოვრება რომ შეიძლება წარმატებით გაგრძელდეს, ამის საუკეთესო მაგალითად, თუნდაც მირანდას ცხოვრების ისტორიაც საკმარისია.

საგანმანათლებლო კერა

ორკლასიანი სასწავლებლიდან დღემდე

2015 წლის სექტემბერში ზემო იმერეთის, ჭიათურის მუნიციპალიტეტის, სოფელ ზოდის საჯარო სკოლას დაარსებიდან 140 წელი შეუსრულდა.

ამავე წლის ზაფხულში გამოიცა ბროშურა „სკოლის ისტორია“ „ლიბერთი ბანკის“ დაფინანსებით. დასკვნითი საიუბილეო ღონისძიება სკოლაში 30 ოქტომბერს გაიმართა. სკოლის ეზო და ფოიე სტუმრებს ვერ იტევდა. ღონისძიება გახსნა სკოლის დირექტორმა **ნონა ყაველაშვილმა,** მან სკოლის ისტორიაზე, ტრადიციებსა და მიღწევებზე ისაუბრა. მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს პენსიონერმა პედაგოგებმა: **ლილი დეკანოიძემ, ლილი სამხარაძემ, მერი ახვლედიანმა, ლეილა გამყრელიძემ, ნარგიზა გამყრელიძემ;** კურსდამთავრებულებმა: **გელა ბოყოველმა, ნანა ბურძენიძემ, თეონა სხირტლაძემ.** საიუბილეო საღამოს ესწრებოდნენ: ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებელი **სულხან მახათაძე**, რაიონის დეპუტატი **მალხაზ წერეთელი**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი **ჯამბულ ყიფშიძე**, მასწავლებელთა თავისუფალი პროფკავშირის რაიონული ორგანიზაციის წარმომადგენელი **დალი სამხარაძე,** სოფლის დეპუტატი და სკოლის ყოფილი კურსდამთავრებული **ირაკლი მერმანიშვილი,** სოფელ ზოდის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მოძღვარი **მამა გიორგი გოგოლაშვილი** და **მამა ზოსიმე ყაველაშვილი.**

დასასრულს, სოფელ ზოდის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა მხატვრულ-შემოქმედებითი კომპოზიცია წარმოადგინეს, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

ზოდი ერთ-ერთი პირველი სოფელია, სადაც 1875 წელს დაწყებითი ორკლასიანი სასწავლებელი გაიხსნა. სკოლის შენახვა წლიურად, იმდროინდელი ფულადი კურსით, 533 მანეთი ჯდებოდა. აღნიშნულ თანხას სოფლის მაცხოვრებლები იხდიდნენ. სასწავლებელი წირქვალის სკოლად იწოდებოდა, რადგან სოფელი ზოდი წირქვალის თემში შედიოდა. სკოლა ოთხკლასიან სასწავლებლად გადაკეთდა XIX-XX საუკუნის მიჯნაზე. სკოლის პირველი მასწავლებელი ეროვნებით რუსი ყოფილა, კარგად სცოდნია ქართული ენაც. სკოლის შენობა, თავდაპირველად, განთავსებული ყოფილა იაკინთე გამყრელიძის სახლში. მომდევნო წლებში სკოლაში პედაგოგებად მოღვაწეობდნენ გორის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულები: **ნიკოლოზ წივწივაძე** (1881-1884), **ბესარიონ გაჩეჩილაძე** (1884-1888), **მათე წივწივაძე** (1888-1890). 90-იანი წლების დასაწყისში ზოდის დაწყებით სკოლაში მასწავლებლობას იწყებენ ხონის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულები: **ნესტორ ბარაბაძე** (1890-1899), **გრიგოლ ბახტაძე** (1899-1910), **პორფილე გურული** (1910-1928) წწ.

ოთხკლასიანი სასწავლებელი სოფელ ზოდში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც არსებობდა, 1927-1928 წლებში იწოდებოდა შრომის სკოლის პირველი საფეხურის ოთხწლედად.1933 წლიდან კი გაიხსნა შვიდწლედი (კოლმეურნე ახალგაზრდების სკოლა), რომელიც მოგვიანებით არასრულ საშუალო სკოლად გადაკეთდა, ხოლო 1939-40 სასწავლო წლიდან – საშუალო სკოლად, რომელმაც პირველი კურსდამთავრებულები 1942 წელს გამოუშვა.

საინტერესოა მე-20 საუკუნის 20-იან წლებში წირქვალის თემის სოფელ ზოდის დაწყებითი სკოლის ისტორია, რომელსაც „პორფილეს სკოლასაც“ უწოდებდნენ.

ორსართულიანი ხის პატარა შენობის პირველი სართული ერთ საკლასო ოთახს და სხვა სათავსოებს ეჭირა. მეორე სართული კი – მეორე საკლასო ოთახს და სამასწავლებლოს. სკოლაში სულ ორი მასწავლებელი მუშაობდა: პირველ-მეორე კლასებს სოფელ წირქვალის მკვიდრი **პორფილე იაგორის ძე გურული** ასწავლიდა, მესამე-მეოთხე კლასებს კი – **ვერა დავითის ასული გამყრელიძე.** პორფილე გურული ავტორიტეტული პიროვნება ყოფილა. ქუთაისის სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დაწყებით სკოლას და ასწავლიდა შესაბამის კლასებს. პორფილეს სკოლის კურსდამთავრებული **პავლე გიორგის ძე გამყრელიძე** იგონებს: *„პორფილეს სკოლაში სწავლების მკაცრი რეჟიმი იყო, მასწავლებლის დიდი რიდი გვქონდა, გაკვეთილის მოუმზადებლად მისვლას მასწავლებელი არასოდეს გვპატიობდა. სწავლა ცხრა საათზე იწყებოდა, სულ ოთხი გაკვეთილი გვიტარდებოდა. მესამე-მეოთხე კლასებში გვასწავლიდა ვერა დავითის ასული გამყრელიძე, გარეგნობით მოხდენილი, ცისფერთვალება ქალი, მას დამთავრებული ჰქონდა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, კარგად იცოდა რუსული ენა. საღვთო სჯულს გვასწავლიდა საჩხერის რაიონის სოფელ ჩიხის მკვიდრი, მღვდელი აბიათარ იაკობაშვილი.“*

პორფილე გურულმა ოთხკლასიან სკოლაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, 1921 წლის 25 თებერვლამდე, იმუშავა. საკმაოდ მოხუცმა დატოვა სკოლა და პენსიაზე გავიდა. მისი აღზრდილები, ცნობილი ადამიანები არიან: **ირაკლი დავითის ძე გამყრელიძე** – თბილისის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმისა და მელიორაციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი (300-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი), მის სახელს უკავშირდება ჩაის კულტურის შემოტანა და გავრცელება ზოდში; **შოთა აკაკის ძე გამყრელიძე** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; **ოთარ კალენიკეს ძე გამყრელიძე** – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი; **ფლორა ივანეს ასული გამყრელიძე** – ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

1957-70-იან წლებში, სოფელ ზოდის საშუალო სკოლა ჭიათურის რაიონში ერთ-ერთ ძლიერ სასწავლო-სააღმზდელო დაწესებულებად ითვლებოდა. სრულ საშუალო განათლებას იღებდნენ სოფლების: მღვიმევის, ხალიფაურის, წირქვალის, ჭალოვანის, ხვაშითის, ზედუბნის და დარკვეთის მოსწავლეები.

1961 წელს, კონტინგენტის გაზრდის გამო, სამსართულიანი კაპიტალური შენობა აშენდა 440 ბავშვზე. მოეწყო კლას-კაბინეტები შემდეგ საგნებში: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ქართული ენა და ლიტერატურა, რამაც ეფექტური გახადა სასწავლო პროცესი, ამაღლდა სწავლების დონე. ამის დასტურია ზოდის საშუალო სკოლის მოსწავლეების მიღწევები საგნობრივ ოლიმპიადებსა და რესპუბლიკურ კონფერენციებში, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო საგნებში მაღალი შეფასებები და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხული მოსწავლეების მაღალი მაჩვენებელი. რაც ყველაზე მთავარია, ყოველწლიურად, იზრდებოდა მოსწავლეთა რაოდენობა. იმდროინდელი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით: 1959-60 სასწავლო წელს 383 მოსწავლე მეცადინეობდა 15 კლასში, 1961-62 სასწავლო წელს – 430 მოსწავლე 17 კლასში, ხოლო 1965-66 სასწავლო წელს – 555 მოსწავლე 21 კლასში. ამავე სასწავლო წელს სკოლამ 26 კურსდამთავრებული გამოუშვა, ხოლო 1966-67 სასწავლო წელს, მხოლოდ მე-10-11 კლასებში, 85 მოსწავლე ირიცხებოდა.

1989 წელს სკოლის სამსართულიან კორპუსს ახალი, 440 ბავშვზე გათვლილი სამსართულიანი კორპუსი მიუშენდა. სკოლა აღჭურვილი იყო გათბობის სისტემით და იმ დროისათვის საუკეთესო კაბინეტ-ლაბორატორიებით. მაგრამ, სამწუხაროდ, 1991 წელს, რაჭა-იმერეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, მიშენებული ახალი კორპუსი მთლიანად დაინგრა. ნანგრევები დღესაც დიდი პრობლემაა ბავშვებისა და პერსონალისთვის. წლებია, შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს ვთხოვთ ნანგრევებისგან სკოლის ტერიტორიის გასუფთავებას.

განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმამ ახალი ამოცანის წინაშე დააყენა სკოლის პედაგოგიური კოლექტივი. 2015 წლის სექტემბრისთვის, 25 პედაგოგიდან, 12 სერტიფიცირებულია, ყველა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. გავლილი აქვთ ტრენინგები (თანამედროვე სწავლების მეთოდები და ხერხები) როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე მასწავლებელთა სახლში, გამოირჩევიან რესპუბლიკურ კონფერენციებში აქტიური მონაწილეობით და სხვადასხვა პროექტებში ჩართულობით – ისტორიის მასწავლებელმა **ნონა ყაველაშვილმა** შექმნა ელექტრონული საგანმანათლებლო თამაში, იგი მასწავლებელთა პირველი და მეორე ეროვნული კონფერენციის გამარჯვებულია; მეორე ეროვნული კონფერენციის გამარჯვებულია გეოგრაფიის მასწავლებელი **მარინე დეკანოიძე.** ჩვენი მოსწავლეები დიდ წარმატებებს აღწევენ როგორც სწავლაში, ასევე სხვადასხვა კონკურსებში. საბაზო საფეხურზე, ყოველწლიურად, გვყავს კომპიუტერის მიღების კანდიდატები და საშუალო საფეხურზე ვერცხლისა და ოქროს მედლის კანდიდატები; 2009-2015 წლებში სკოლამ 11 მედალოსანი გამოუშვა: **ირაკლი სხირტლაძე, თეონა ბოყოველი, ნინო ბოჭორიშვილი,** დები **ანა** და **თამარ სხირტლაძეები.** ხოლო ვერცხლის მედლები დაიმსახურეს: **ია** და **ინგა ჭიღლაძეებმა, ნინო ყაველაშვილმა, ნათია ბოყოველმა, ქეთევან მერმანიშვილმა, ქეთევან ბოჭორიშვილმა.** 2014-2015 სასწავლო წელს, 18 კურსდამთავრებულიდან, 3 მედალოსანია – ორი ოქრო და 1 ვერცხლი. საუკეთესო მოსწავლეებმა, დებმა **თამარ** და **ანა სხირტლაძეებმა**, სამოქალაქო განათლების ოლიმპიადის რესპუბლიკური ტურის მონაწილეებმა, საჩუქრად 350-ლარიანი წიგნების ვაუჩერი და სმარტფონი მიიღეს.

იმედი გვაქვს, სოფელი ზოდი სოციალურ-ეკონომიურად კვლავ გაძლიერდება, ოჯახები კვლავ დაუბრუნდებიან სოფელს და ბავშვთა რაოდენობაც გაიზრდება.

ზოდის სკოლა, მისი პედაგოგიური კოლექტივი ღირსეულად აგრძელებს მდიდარ და სახელოვან ტრადიციებს.

ნონა ყაველაშვილი
ზოდის საჯარო სკოლის
დირექტორი

პედაგოგთა დასახმარებლად

ზურაბ ვახანია

მათემატიკა (დაწყებითი საფეხური)

ნატურალური რიცხვები. რიცხვისა და ციფრის გარჩევა

ნულისგან განსხვავებულ (მთელ დადებით) რიცხვებს 1, 2, 3, 4, 5, 6, **...** ეწოდება **ნატურალური** რიცხვები. ნატურალური – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს *„ბუნებრივი“*. მართლაც, ყველაზე პირველადი და ბუნებრივი სწორედ ეს რიცხვებია და არა ნული, წილადები ან უარყოფითი რიცხვები. ნატურალურ რიცხვთა სიმრავლე ასე ჩაიწერება:

{1, 2, 3, ...}. ცხადია, ეს სიმრავლე უსასრულოა.

ყოველი ნატურალური რიცხვი ან კენტია, ან ლუწი, ხოლო 0 – ლუწია.

საზოგადოდ, ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს მათემატიკური ცნება და მისი ჩანაწერი. როგორც ვიცით, გრამატიკაშიც მთავარია სამეტყველო ბგერა, ხოლო ასო – მისი ჩანაწერია, რომლის მოხაზულობასაც ბგერისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს! მაგალითად, ბგერა **ზ** ოდნავადაც არ შეიცვლება, თუკი მის აღმნიშვნელ ასო-ნიშანს ჩავწერთ ასომთავრულად, ანდა ჩავწერთ რაღაც სულ სხვა ნიშნით, მაგალითად, **z,** ანდა ∝(ვთქვათ, საიდუმლო შიფრში).

ასევეა მათემატიკაშიც. მაგალითად, მათემატიკურ მოქმედებათა ნიშნები ამ მოქმედებათა მხოლოდ ჩანაწერებია. მაგალითად, გამრავლება მათემატიკური მოქმედებაა, ხოლო ნიშანი **·** კი ამ მოქმედების ჩანაწერია, ანუ აღნიშვნაა. პირველად გამოჩენილმა მეცნიერმა ლაიბნიცმა შემოიღო ნიშანი **·** , ხოლო მოქმედება გამრავლება მანამდეც იცოდნენ, უძველესი დროიდანვე! იგივე მოქმედება გამრავლება x ნიშნითაც აღინიშნება. შეიძლებოდა, რაიმე სხვა ნიშნითაც აღგვენიშნა. მათემატიკაში ამით არაფერი არ შეიცვლება. ასევე, მაგალითად, მოქმედება გაყოფას, **:** ნიშნის ნაცვლად, ზოგჯერ **÷** ნიშნითაც აღნიშნავენ. სულერთია, ამით თვით გაყოფაში არაფერი იცვლება.

ასევე, ციფრი – რიცხვის მხოლოდ ჩანაწერია. მაგალითად, რიცხვი „ცხრა“ შეესაბამება ამ ვარსკვლავების რაოდენობას: *************, ხოლო ციფრი 9 ამ რიცხვის ჩანაწერია, აღნიშვნაა. ე.ი. ციფრი ნიშანია. სწორედ ამიტომაა, რომ ორციფრა რიცხვს მეორენაირად ორნიშნა ეწოდება, სამციფრას – სამნიშნა და ა.შ.

განვიხილოთ ახლა სამი ციფრი: 2, 6, 9. რომელი მათგანია ყველაზე დიდი? ცხადია, ციფრების ამ ჩანაწერებს შორის ყველაზე „დიდია“ ციფრი 6, ხოლო ყველაზე „მცირეა“ ციფრი 9. მაგრამ რიცხვი ცხრა კი ყოველთვის უფრო დიდია, ვიდრე რიცხვი ექვსი, როგორც უნდა ჩავწეროთ ისინი! ე.ი. მეტ-ნაკლებობის მიხედვით, ერთმანეთს უნდა შევადაროთ არა ციფრები, არამედ რიცხვები. ასევე, მათემატიკური მოქმედებებიც რიცხვებზეა და არა ციფრებზე. მაგალითად, იკრიბება რიცხვები, და არა ციფრები.

მაგრამ სიმოკლისათვის ზოგჯერ მაინც ამბობენ ხოლმე: *„105-ის ციფრთა ჯამი ტოლია 6-ისა“, „105-ის ჩანაწერში ყველაზე მცირე ციფრია 0“* და სხვ. ეს წინადადებები არაა ზუსტად გამოთქმული, მაგრამ ზუსტად გამოთქმა ძალიან დააგრძელებდა მათ. ამიტომ, რამდენიმე შემთხვევაში, უმჯობესია, რომ არცთუ ზუსტი, მაგრამ მოკლე გამოთქმები ვიხმაროთ, მაგრამ სხვა შემთხვევებში არ უნდა შეგვეშალოს: ციფრი სხვაა და რიცხვი – სხვა. რაოდენობრივი შინაარსი აქვს მხოლოდ რიცხვს, ხოლო ციფრი მისი უბრალო ჩანაწერია, აღნიშვნაა. ციფრები სულ სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს, მაგრამ რიცხვები ამით არ შეიცვლება!

ხალხი ხშირად მცდარად ხმარობს ამ სიტყვებს: გაზეთებში, ზეპირ გამოსვლებში, სკოლებშიც. ნაცვლად სიტყვისა „რიცხვი“ ამბობენ „ციფრი“. მაგ.: *„აღმოჩნდა, რომ წლევანდელი დანახარჯების მაჩვენებელი ციფრები არც ისე დიდია.“* ეს წინადადება მცდარია, რადგან დიდი ციფრი, ესაა დიდი ზომით დაწერილი ციფრები, ხოლო დანახარჯების რაოდენობას შეესაბამება არა ციფრები, არამედ – რიცხვები. ამიტომ ის წინადადება ასე უნდა ჩამოყალიბებულიყო: *„აღმოჩნდა, რომ წლევანდელი დანახარჯების მაჩვენებელი რიცხვები არც ისე დიდია.“*

რიცხვი – ესაა რაოდენობა, ხოლო ციფრი – პირობითი ჩანაწერი, თანაც არა ყოველგვარი რიცხვებისა, არამედ მხოლოდ ერთნიშნა რიცხვებისა. ე.ი. ციფრი სულ 10 ცალია. რიცხვები კი უსასრულოდ მრავალია! რიცხვი არაა დამოკიდებული მის ჩანაწერზე. მაგალითად, რიცხვი „ოთხი“ ოდნავადაც არ შეიცვლება, თუკი მას ჩავწერთ არა ასე – 4, არამედ სულ სხვაგვარად, მაგალითად: IV, ანდა სულაც ასე: *****.

ამიტომ „დიდი ციფრი“ – ესაა დიდი ჩანაწერი, ანუ დიდი შრიფტით ჩაწერილი, მაგ., **4**.

ხოლო მილიარდი – ეს დიდი ციფრი კი არაა, არამედ დიდი რიცხვია.

ციფრი – ისევე როგორც ასო! – მხოლოდ და მხოლოდ **<u>ჩანაწერია, პირობითი ნიშანია</u>.** მისი წარმოთქმაც კი არ შეიძლება, იგი მხოლოდ იწერება!

არაბული ციფრები და რომაული ნიშნები

რიცხვების ჩანაწერებში სულ ათი განსხვავებული ციფრი შეიძლება იყოს: 0, 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9. საკმარისია, ვიცოდეთ ეს ათი ციფრი და ყოველი რიცხვის ჩაწერას შევძლებთ. ამ ციფრებს „არაბულ ციფრებს“ უწოდებენ. ეს ციფრები და მათი მეშვეობით რიცხვების ჩაწერა ინდოეთში მოიგონეს, დაახლოებით, 1800 წლის წინ, ხოლო სხვა ქვეყნებში ისინი არაბებმა შეიტანეს და გაავრცელეს. ამიტომ უწოდეს მათ „არაბული“ ციფრები, თუმცა სინამდვილეში ისინი ინდურია!

მანამდე, სანამ არაბული ციფრები გავრცელდებოდა, მრავალ სახელმწიფოში სულ არ იცოდნენ ციფრული ჩაწერა და რიცხვებს სიტყვებით წერდნენ. ხოლო ზოგან იყენებდნენ ცნობილ რომაულ ნიშნებს:

I	V	X	L	C	D	M
1	5	10	50	100	500	1000

რიცხვების ჩაწერა რომაული ნიშნებით უფრო მოუხერხებელია, ვიდრე არაბულებით.

მაგალითად: CM = 1000 - 100 = 900; MC = 1000 + 100 = 1100, ხოლო 1988 რომაული ნიშნებით ჩაიწერება ასე: MCMLXXXVIII.

საქართველოში რიცხვებს ქართული ანბანის ასოებით წერდნენ. ყველა ამ ძველებურ სისტემას ახასიათებს ის, რომ ერთი და იგივე ნიშანი ყველგან, ყველა თანრიგში ერთსა და იმავე რაოდენობას აღნიშნავს. მაგ., რომაული **V** ანდა ქართული **ე** ყველგან აღნიშნავს რაოდენობას „ხუთი“. ინდურ სისტემაში კი ასე არაა. მაგალითად, ჩანაწერში 55 პირველი 5-იანი აღნიშნავს 5 ათეულს (ანუ 50-ს), ხოლო მეორე 5-იანი – 5-ს.

ციფრი – ლათინური სიტყვაა და წარმომდგარია არაბული სიტყვისაგან *სიფრ*, რომელიც ნიშნავს *„ნული, ცარიელი ადგილი“*. ეს სახელწოდება სინამდვილეში თანრიგებს უკავშირდება. მართლაც:

> **თანრიგი** – რიცხვის ჩანაწერში ცარიელი ადგილი, რომელშიც იწერება სათანადო ციფრი.

რიცხვების ჩაწერა ინდური ციფრებით სწორედ იმიტომაა ძალიან მოსახერხებელი, რომ ესაა რიცხვების ჩაწერა თანრიგების მიხედვით. ხოლო, მაგალითად, რომაულ ნიშნებს არა აქვს თანრიგები. სწორედ თანრიგებისა და ნულის შემოღება იყო მთავარი აღმოჩენა, თორემ თითოეული ციფრი როგორ დაიწერება, ამას არა აქვს დიდი მნიშვნელობა!

არაბული ციფრები X ს. ძველ ქართულ ხელნაწერში

(ციფრები წერია მარჯვნიდან მარცხნივ – არაბული დამწერლობის წესით)

რიცხვი 0 შემოიღეს გაცილებით გვიან, ვიდრე სხვა რიცხვები: 1, 2, 3, 4 და ა.შ. რიცხვები დათვლისთვის შემოიღეს. იმ შემთხვევაში, როცა არც ერთი საგანი არ ჰქონდათ, დასათვლელიც არაფერი იყო. ამიტომ დასათვლელად ნული არ სჭირდებოდათ, უბრალოდ ამბობდნენ: „არცერთი“, „არაფერი“, „არავითარი“.

ნული – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს: *„არაფერი, არავითარი“*.

> **რიცხვის სამი ძირითადი გამოყენება**
>
> რიცხვები ჩაიწერება ციფრებით. რიცხვით კი შეიძლება აღნიშნული იყოს სხვადასხვა რამ:
>
> **I. რაოდენობა** – რამდენია საგანი. მაგ.: 5 თითი, 20 სმ, 8 წრე, 1/2 ვაშლი, 3,7 ლარი...
>
> **II. რიგითობა** – მერამდენეა საგანი. მაგ.: მე-3 კლასი, მე-9 სართული...
>
> **III. ნომერი** ან **ჭდე** – რა ნომრითაა მონიშნული საგანი. მაგ.: ბინა №16, სკოლა ნომერი 4, ფეხბურთელი 5-იანი მაისურით, ტელეფონის ნომრები და სხვ.

რიცხვის ცნების მეთოდიკური მხარე

არითმეტიკის სწავლისას მთავარი საფრთხეა რიცხვის გაიგივება მის აღნიშვნასთან, ანუ მის ციფრულ ჩანაწერთან. ამით რიცხვი იცლება ნამდვილი მათემატიკური შინაარსისაგან, მას ეკარგება არსი – რაოდენობა. რიცხვი თითქოს ფუტურო ჩანაწერი ხდება. ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებით დამტკიცებულია, რომ ამ შემთხვევაში ბავშვი მეორე-მესამე კლასებშიც კი ვერ იაზრებს ნამდვილ რაოდენობას. შესუსტებისა და გაქრობის ნაცვლად, მას უძლიერდება აზროვნების ის ბუნებრივი ილუზიები, რომლებიც ჟ. პიაჟეს მიერ იქნა აღმოჩენილი. ყველაზე ცნობილია რაოდენობის ამგვარი ილუზია: 5-6-წლიან ბავშვს (და აგრეთვე ცუდად ნასწავლ 7-8-წლიან ბავშვსაც კი!) ნივთების ერთი და იგივე რაოდენობა უფრო მეტი ჰგონია მაშინ, როცა ნივთების გროვა ფართოდაა გაფანტული. მაგ.:

ჰგონია, რომ მარცხენა გროვაში უფრო მეტი, უფრო ბევრი ფანტელია, ვიდრე მარჯვენა გროვაში (თუნდაც გროვა მის თვალწინ გაფანტონ!):

ანდა, პირიქით ჰგონია – თუკი სიმკვრივეს მიაქცია ყურადღება. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ფართობიცა და სიმკვრივეც – სივრცის თვისებებია და არა რაოდენობისა. მაშასადამე, ბავშვი ხედავს სივრცეს და მის მიხედვით აფასებს რაოდენობასაც (ასეა ყველაზე მაღალგანვითარებული ცხოველებიც). ხოლო ნამდვილი რაოდენობა მას არ ესმის. თანაც, ბავშვს ხშირად არ შველის არც ის, რომ დათვლის შედეგად რწმუნდება: ერთ გროვაშიც ხუთი ცალია და მეორეშიც! შესაძლოა, მცირე რაოდენობებზე ეს არ მოხდეს, მაგრამ უფრო მეტ რაოდენობებზე კი მაინც ხდება. ამ დროს ხშირად ბავშვმა ვითომ „იცის“ ასის ფარგლებში შეკრება-გამოკლება, მახვილი და ბლაგვი კუთხეები და სხვ. მათემატიკაზე და საზოგადოდ, აზროვნებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

იმისათვის, რათა ეს არ მოხდეს, არითმეტიკის სწავლების მთავარი საყრდენი უნდა იყოს ნამდვილი ნივთების გროვები: მამაპაპური ჩხირები და სხვა (მხოლოდ ერთი სახის სათვლელ ნივთებზე მიჯაჭვა არ ვარგა, რადგან გაძნელდება რაოდენობის მოწყვეტა, აბსტრაჰირება, განყენება ნივთებისგან). გარდა ამისა, არაა საჭირო ციფრების ნაადრევი შემოტანა და მით უმეტეს, მათი წერის დაწყება.

საზოგადოდ, პირველკლასელისათვის ციფრული ჩანაწერი თავიდან არაფერს არ აადვილებს, პირიქით. წარმოვიდგინოთ, ბავშვი პირველი სასწავლო თვის განმავლობაში. ვთქვათ, მან უნდა შეკრიბოს სამი და ხუთი. ჩვენ ვუწერთ (ან თავად მას ვაწერინებთ): 3 **+** 5. მაგრამ ეს ჩანაწერი ხომ ჩვენთვისაც კი არაფერს არ აადვილებს! ბავშვისათვის კი აძნელებს კიდევაც: მას უმატებს დამატებით სიძნელეს – ფორმალური ჩანაწერის წაკითხვისა და გააზრების. ბავშვს ეს უნარ-ჩვევა ხომ ჯერ არა აქვს განვითარებული. ჩვენ მას უნდა ვასწავლოთ ჩანაწერებით მოქმედება და მათი მეშვეობით აზროვნება. უნდა ვასწავლოთ, უნდა შევათვისებინოთ, მაგრამ ჯერ ხომ არ შეგვითვისებინებია! ამიტომ ბავშვისათვის გაცილებით ადვილია ზეპირად შეკრება სამისა და ხუთისა, ვიდრე 3 **+** 5 **=** 8 ჩანაწერის შედგენა და გააზრება. თუკი ბავშვს გაუჭირდება ანგარიში, მას ჩანაწერი კი არ უნდა მივაშველოთ, არამედ – სათვლელი ნივთები, თუნდაც საკუთარი თითები!

ბავშვმა ჯერ ნამდვილი შეკრება-გამოკლება უნდა ისწავლოს და მხოლოდ ამის შემდეგ – ამ მოქმედებათა აღნიშვნა, ფორმალიზაცია: მათი ჩაწერა ციფრულ გამოსახულებათა სახით.

დოდო ნაზირიშვილის მიერ დამუშავებულია რიცხვების „დომინოსებური“ გათვალსაჩინოება. სწორედ ამგვარ თვალსაჩინოებას უნდა დავემყაროთ, როცა I კლასში ორი თვის განმავლობაში არ შემოვიტანთ ციფრებს, წაკითხვითაც კი. „დომინოსებური“ თვალსაჩინოებით ბავშვი მყარად შეითვისებს რიცხვის არსს – მის რაოდენობრივ შინაარსს. არც რიცხვი გაიგივდება მის აღნიშვნასთან, ანუ ციფრულ ჩანაწერთან. რიცხვი მტკიცედ შეკავშირდება მის რაოდენობრივ არსთან. გარდა ამისა, „დომინოსებური“ თვალსაჩინოება, თავისი კოხტა და თვალშისაცემი განლაგების გამო, ძალიან ადვილად ამახსოვრდება ბავშვს. ექვსწლიანი ბავშვის ძლიერი ხატოვან-მხედველობითი მეხსიერება განყენებული მათემატიკური აზროვნების საყრდენი და ერთგული დამხმარე ხდება.

„დომინოსებური“ რიცხვები ძალიან კარგად ცვლის ნივთთა გროვებს. კლასში ნივთთა გროვებზე მოქმედება ძალიან ბევრ დროს შთანთქავს, „დომინოსებური“ რიცხვები კი პირიქით, ძალიან სწრაფი და ადვილი გამოსაყენებელია. თანაც, მათი საშუალებით მარტივად, თვალშისაცემად და ამომწურავად თვალსაჩინოვდება რიცხვის დაშლა ყოველგვარ შესაკრებთა ჯამებად. ეს კი აზრიანი შეკრება-გამოკლების საფუძველია. ამიტომ „დომინოსებური“ თვალსაჩინოება ფრიად ნაყოფიერი საშუალებაა შეკრება-გამოკლების სასწავლებლადაც. მაგრამ თვალსაჩინოებასაც აქვს თავისი ბუნებრივი ფარგლები, რომელთა დარღვევის შემთხვევაში, იგი უკვე შემაფერხებელი ხდება. II კლასში „დომინოსებური“ თვალსაჩინოება უნდა შეიცვალოს სქემატური „კვადრატული დაფით“.

პიაჟესეული ილუზიის დასაძლევად და რაოდენობის საწვდომად, პირველივე გაკვეთილებიდან, უნდა დავიწყოთ სავარჯიშოები დაწყვილებაზე, სხვადასხვაგვარად განლაგებული ერთი და იმავე რაოდენობათა შედარების მიზნით. მოსწავლეები თავიანთი ხელით აწყვილებენ სათანადო გროვებს და თავადვე რწმუნდებიან, რომ რაოდენობა არ იცვლება გროვის განლაგების შეცვლით. აქტიურ-ევრისტიკული მეთოდიკის შესაბამისად, მასწავლებელი ამას თავად ბავშვებს აღმოაჩენინებს, თვითონ კი არ ასწავლის, როგორც მზამზარეულ ჭეშმარიტებას.

მაგალითად, ზემორეგანხილულ ციფრულ ჩანაწერში 3 + 5 = 8, არსებითად, არ ჩანს არც რიცხვის რაოდენობრივი არსი და არც შეკრების არსი. „დომინოსებურ“ თვალსაჩინოებაში მას ცვლის ამგვარი სურათი:



ამ სურათში, ერთდროულად, თვალსაჩინოდ ჩანს მრავალი რამ:

I. 3 + 5 = 8 ;

II. 5 + 3 = 8 ;

III. 8 – 5 = 3 ;

IV. 8 – 3 = 5 ;

V. შეკრების მთავარი თვისება: 3 + 5 = 5 + 3 ;

VI. ჯამს გამოკლებული ერთ-ერთი შესაკრები ტოლია მეორე შესაკრებისა;

VII. 8 = 3 + 5 ანდა 8 = 5 + 3 (8-ის დაშლა შესაკრებებად) *და სხვ.*

პედაგოგთა დასახმარებლად

თანაც, ეს ყოველივე ჩანს არსობრივად, შინაარსეულად, რიცხვის რაოდენობრივი არსით, რადგანაც პირდაპირ ჩანს რაოდენობანი. ციფრში 8 არსად არ ჩანს რაოდენობა რვა, ხოლო „დომინოსებური“ რვიანი უშუალოდ შედგება რვა წრისაგან.

პირველკლასელისათვის ჩანაწერი 3 + 5 = 5 + 3 ანდა წინადადება *„ჯამს გამოკლებული ერთ-ერთი შესაკრები ტოლია მეორე შესაკრებისა“* – ძალიან აბსტრაქტულებია და ამდენად, არაფრისმომცემია, მხოლოდ მექანიკური დამახსოვრება-გაზეპირებისაკენ უბიძგებს მას. ბავშვი მათ კი დაიმახსოვრებს, მაგრამ, როცა მათი ნამდვილი გამოყენება იქნება საჭირო, ვერ გამოიყენებს. მაგალითად, ვერ გაგვცემს პასუხს შეკითხვაზე: *„რისი ტოლი იქნება თხუთმეტისა და ცხრის ჯამს გამოკლებული თხუთმეტი?“* მაშასადამე, მას არ ესმის ვითომ ნასწავლი წესი. ხოლო შინაარსეულ თვალსაჩინოებაზე დაფუძნებული აქტიურ-ევრისტიკული მეთოდიკით ნასწავლ ბავშვს ამგვარი შეკითხვები არ აბნევს და ის, თუმც ზოგჯერ ეშლებოდეს, დაფიქრდება და აზრიანად გვპასუხობს (ძალიან უხეში პედაგოგიკური შეცდომაა ის, რომ ბავშვის შეცდომას მასწავლებლის უკმაყოფილება მოჰყვება ხოლმე; ბავშვს ოდნავადაც არ უნდა ეშინოდეს შეცდომისა, რადგან ვისაც არ ეშლება – ის არ აზროვნებს!).

საზოგადოდ, დაწყებითი კლასების მათემატიკაში მთავარი საფრთხე ისაა, რომ ბავშვი მიეჯაჭვება ციფრებს; ე.ი., ტიპური შეცდომაა, როცა, მაგ., რიცხვი „ხუთი“ გაიგივებული აქვთ ხუთიანთან (ჩანაწერთან). ასევე, უფროსი კლასების მათემატიკაში მთავარი საფრთხე ისაა, რომ ბავშვი მიეჯაჭვება ფორმულებს, ალგებრულ გარდაქმნებსა და სხვა მათემატიკურ ნიშნებს. ე.ი., ნამდვილ მათემატიკურ ცნებათა გააზრება და მათი აქტიური გამოყენება იცვლება ნიშნაკებზე მანიპულაციებით. ამის წინააღმდეგ ქმედითი საშუალებაა აზროვნება: ნიშნაკების შეზღუდვა და მთავარი ყურადღების გადატანა აზრიან სიტყვიერ მსჯელობებზე. ოღონდ, ცხადია, ეს უნდა იყოს სწორედ რომ მსჯელობა და არა გაზეპირებულის გამეორება ანდა დამახსოვრებულის გახსენება!

კერძოდ, I კლასში მთავარია რაოდენობის არსის წვდომა. ამისათვის სასწავლო პროგრამა ასე უნდა აიგოს (წინაპირობაა წერის გვიან დაწყება და შეზღუდვა):

დაწყვილება; გროვათა მეტ-ნაკლებობა; გროვათა ტოლობა; გროვის განლაგების შეცვლისას მის შემადგენელთა რაოდენობის ტოლობა; რიცხვი ერთი – ყველა შესაძლო ერთეულნი; რიცხვი ორი – ყველა შესაძლო წყვილები; რიცხვი სამი – ყველა შესაძლო სამეულები (ყველანაირი განლაგებით); ...შეკრება – გროვათა შეერთება; ...გამოკლება – შეკრების საპირისპირო: გროვიდან აღება; ...

ეს ყველაფერი ხდება ციფრების გარეშე – მხოლოდ ნივთიერი თვალსაჩინოებით, „დომინოსებური გროვებით“ და სიტყვიერი მსჯელობით (მეთოდიკა შექმნილია გ. ბერიშვილისა და ი. კოტეტიშვილის მიერ, შევსებულია დ. ნაზირიშვილის მიერ, გადამუშავებული და განვითარებულია ზ. ვახანიას მიერ).

ამოცანები იხილეთ შემდეგ ნომერში

სამოქალაქო განათლება

სწავლება თამაშის მეშვეობით

ნონა ფიფია

მასწავლებლის ძირითადი საგანმანათლებლო მიზნები მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესში აქტიური ჩაბმაა, რაც მისგან, ძალისხმევასთან ერთად, სწავლების მრავალფეროვანი მეთოდების ფლობასაც მოითხოვს. თანამედროვე პედაგოგიკაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს თამაში, როგორც მეთოდი, სასწავლო მიზნის მისაღწევად. თამაშით მიღებული ცოდნა მყარია, რადგან დადებით ემოციებთან ასოცირდება. გაგაცნობთ სასწავლო პროცესში გამოყენებული თამაშის რამდენიმე სახეს: **მოდელირება** (როლური თამაში), რომელიც მიმართულია მონაწილეების რომელიმე უნარ-ჩვევების განვითარებაზე, სტერეოტიპული აზროვნების დაძლევაზე. როლური თამაშის პროცესი წარმოადგენს იმ სიტუაციის მოდელირებას, სადაც მონაწილეები იღებენ რომელიმე როლს და შემდგომ მოქმედებენ საკუთარი თვალთახედვითა და ინტერპრეტაციით. ეს მეთოდი მოსწავლეებს დაეხმარება სხვათა აზრებისა და ქმედებების უკეთ გაგებაში, დაინახონ პრობლემა სხვადასხვა რაკურსიდან. **იმიტაცია** – შეძლებისდაგვარად ზუსტი მიმსგავსება, რაც მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა თავი იგრძნონ იმ გარემოში ან სიტუაციაში, რასაც განასახიერებენ. მათ საშუალება ეძლევათ რეალურთან მიახლოებულ სიტუაციაში გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები და დამოკიდებულებები. მაგალითად, იმიტირებული სასამართლო პროცესი, არჩევნები, სპეციალური საჭიროების მქონე პირების მდგომარეობა და ა.შ. მოსწავლეებს იმიტაციის თემის შესაბამისად უვითარდებათ სოციალური და სამოქალაქო კომპეტენციის ისეთი უნარები და ღირებულებები, როგორიცაა პრობლემების მოგვარება, გადაწყვეტილებების მიღება, სხვისი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემა, შემწყნარებლობა და სხვა. **შეჯიბრი** – სწავლების ყველაზე აქტიური მეთოდია. მეტოქეობა სტიმულია მოსწავლეებისთვის, რომ უპირატესობის მოსაპოვებლად შესაძლებლობათა მაქსიმუმი გამოავლინონ.

სასწავლო თამაშების ორგანიზება მოიცავს რამდენიმე ეტაპს: **დაგეგმვა** – სასწავლო თემის შერჩევა, თამაშის წესების გაცნობა. **მომზადება** – თამაშის სასწავლო მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, მოთამაშეთა შესაძლებლობებისა და როლური ფუნქციების განსაზღვრა. **ჩატარების პროცესი** – თამაშის პროცესის მართვა და კონტროლი. **თამაშის განხილვა** – მასწავლებელი, მოსწავლეებთან ერთად, განიხილავს თამაშის მსვლელობისას მიმდინარე სიძნელეებს, წარმატებებს. ანალიზს უკეთებს ჩატარებულ თამაშს და ხდება შედარება რეალურ ცხოვრებასთან.

განვიხილოთ ერთ-ერთი თამაშის, „ხელსახოცი“, ეტაპები სასწავლო პროცესში: გაკვეთილის თემა ამ თამაშისათვის მრავალფეროვანია: ადამიანის უფლებათა კლასიფიკაცია, კომუნიკაციისა თუ თანამშრომლობის, მიზნის დასახვის უნარების განვითარება. ვიწვევთ ოთხ მოხალისეს და ვაცნობთ თამაშის წესებს: მათ დამოუკიდებლად უნდა ჩაიფიქრონ ოთახის რომელ კუთხეში სურთ მისვლა. ოთხივე მონაწილეს ვთხოვთ, ერთდროულად აიღონ ქაღალდის ხელსახოცი გაშლილად და პროპორციულად. ვაცნობთ მოთხოვნას – არ აქვთ ერთმანეთთან კომუნიკაციის უფლება არც ვერბალურად, არც ჟესტიკულაციით. თითოეული უნდა წავიდეს ოთახის იმ კუთხისაკენ, რომელიც თავიდან ჩაიფიქრეს. მასწავლებელი აკვირდება როგორც მონაწილეების ქცევას (რომ პირობები მათი მხრიდან იყოს დაცული), ასევე თამაშის მსვლელობისას წარმოშობილ ნებისმიერ სიტუაციას. წარმოშობილი სიტუაციებია: ვიღაცა ცდილობს დანარჩენი მონაწილეები წაიყოლიოს, ვიღაცა ნებდება, ვიღაცა არ თმობს... თამაშის დასასრულს ხელსახოცის მთლიანობა ყოველთვის დარღვეულია. დგება თამაშის მონაწილეებისა და კლასის დანარჩენი ნაწილისათვის მეტად საინტერესო უკუკავშირის დრო. მასწავლებლის კითხვები მონაწილეებს: მიაღწიეთ მიზანს? რატომ? ვისმენთ მათ კომენტარებს (არ გვქონდა უფლება საუბრის, ურთიერთობის; მე ვცდილობდი...მაგრამ...) კითხვები კლასს: რატომ ვერ მიაღწიეს მიზანს? რა სირთულეები იყო? (ასევე ვისმენთ მათ კომენტარებს).

თამაშით სწავლებისას მოსწავლეებისათვის მნიშვნელოვანია ხაზგასმა გაკვეთილის თემასთან მიმართებაში თუ რა **ცოდნა**, **უნარები** და **განწყობა-დამოკიდებულებები** შეიძინეს ამ თამაშით. მოცემული თამაშის შემთხვევაში, **ცოდნა** – გვაქვს უფლებები; რთულია კონსესუსისა და მიზნის მიღწევა შეზღუდულ პირობებში. **უნარები** – რამდენად მნიშვნელოვანია კომუნიკაცია, თანამშრომლობა; **დამოკიდებულებები** – მზაობა მიზნის მიღწევისათვის, თანამშრომლობისათვის და ა.შ.

მასწავლებლის როლი მეტად მნიშვნელოვანია წარმატებული საგანმანათლებლო პროცესისათვის, ვინაიდან მის მიერ სწორად შერჩეულ მეთოდებზეა დამოკიდებული სწავლების პროცესის, სახალისოდ და საინტერესოდ წარმართვა, რაც თავისთავად იწვევს დადებით განწყობასა და ემოციებს საკლასო ოთახში.

ინფორმაცია

სამოქალაქო განათლების გაძლიერება საჯარო სკოლებში

ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის“ დასკვნითი კონფერენცია გაიმართა. ღონისძიება გახსნეს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმა, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის პროექტების განყოფილების უფროსმა კაიდო სირელიმ და კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორმა, დოქტორმა ჯანან ათილგანმა.

აღნიშნული პროექტი, რომელიც ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა, კონრად ადენაუერის ფონდმა განახორციელა. მისი მიზანია სამოქალაქო განათლების სწავლების გაძლიერება. პროექტის ფარგლებში, სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს რეგიონებიდან, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონებიდან, საშუალება მიეცათ, გაევლოთ ინტენსიური ტრენინგი სამოქალაქო განათლების სწავლების თანამედროვე მეთოდებში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, მომზადდა საზოგადოებრივი მეცნიერებების ახალი სტანდარტი.

პროექტის მიმდინარეობისას, ქართული დელეგაცია ეწვია გერმანიის სამოქალაქო განათლების ფედერალურ სამსახურს, ადგილზე გაეცნო სამოქალაქო განათლების პროგრამებს გერმანიაში და მიეცა საშუალება, კონტაქტები დაემყარებინა კოლეგებთან.

დასკვნით კონფერენციაზე ასევე შედგა დისკუსია სამოქალაქო განათლების თანამედროვე გამოწვევებზე, რომელშიც მონაწილეობა გერმანელმა და ქართველმა ექსპერტებმა მიიღეს.

ლია გიგაური, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„დემოკრატიული საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის ფარგლებში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდა თაობაში, რომელიც დღეს სკოლაშია და რომლებიც მომავალი ქვეყნის მოქალაქეები უნდა იყვნენ. ამიტომ სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა ხდება ყველა დონეზე. ჩვენ შევცვალეთ კურიკულუმი, სამოქალაქო განათლება და საზოგადოებრივი მეცნიერებები ჩამოვიტანეთ დაწყებით კლასში, რასაც სჭირდება მასწავლებლების ტრენინგ-მოდულებისა და შესაბამისი სახელმძღვანელოების მომზადება. ამ მხრივ, დიდი დახმარება გაგვიწია ადენაუერის ფონდმა, რომელიც ჩართული იყო რეფორმების პროცესში როგორც კურიკულუმის, ასევე მასწავლებელთა ტრენინგ მოდულების შექმნის მიმართულებითაც. მათ ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ. იმ სასწავლო ტურის ფარგლებში, რომელშიც იმყოფებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები, საკმაოდ დიდი ინფორმაცია მივიღეთ იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება იყოს ორგანიზებული და სწორად დაგეგმილი პროცესები, რომელიც სამოქალაქო განათლების განვითარებას ემსახურება.“*

დავით აფრასიძე, კონრად ადენაუერის ფონდის ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტების კოორდინატორი: *„ეს იყო ორწლიანი პროექტი, რომელიც უკვე დასრულდა. პროექტის ფარგლებში საქართველოს შვიდი რეგიონი მოვიცავით. სამოქალაქო განათლების სფეროში მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგები. ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობდით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, ვავითარებდით სხვადასხვა დოკუმენტებს. პროექტი დავასრულეთ დასკვნითი კონფერენციით, რომლის ფარგლებშიც გავმართეთ დისკუსია პანელი – სამოქალაქო განათლების თანამედროვე პრობლემებთან დაკავშირებით.“*

ჯანან ათილგანი, კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობის დირექტორი: *„ჩვენი ფონდი, გერმანიაში, 1950 წელს დაარსდა. მას ძალიან ნათელი მიზნები და ამოცანები აქვს, რაც საზოგადოებაში დემოკრატიული და მოქალაქეობრივი შეგნების გაღრმავებაში მდგომარეობს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი პროექტი გერმანიაში ძალიან წარმატებული აღმოჩნდა, გადავწყვიტეთ, სხვა ქვეყნებიც ჩაგვერთო. რაც შეეხება საქართველოს, ვცდილობთ, განვავითაროთ სამოქალაქო განათლება, როგორც კონცეპტუალურად, ისე განხორციელების დონეზე, სკოლებში და სკოლებს გარეთაც. ორწლიანი პროგრამის ფარგლებში გადავამზადეთ პედაგოგები სამოქალაქო განათლების საკითხებში და შევქმენით გზამკვლევები ამ მიმართულებით.“*

ჰოლგერ-მიხაილ არნდტი, სივიკი – საერთაშორისო განათლების ინსტიტუტის დირექტორი: *„გერმანიაში ვისაუბრეთ თუ როგორ მივაწოდოთ ახალგაზრდა თაობას სამოქალაქო განათლების საკითხები. ჩვენ ხელს ვუწყობთ სკოლებში ისეთი საგნების დანერგვას, რომელიც დაკავშირებულია სამოქალაქო განათლების შესწავლასთან. ვხედავთ, რომ საქართველოს უკვე აქვს მიღწევები ამ პროექტის მხარდაჭერით. ზოგადად, სამოქალაქო განათლება ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიული სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად. პროექტი ეხმარება მოსწავლეებს გაიგონ, რა არის სამოქალაქო საზოგადოება, გაუღრმავდეთ მოქალაქეობრივი შეგნება და თავი ამ პროცესის თანამონაწილედ იგრძნონ.“*

საუბრები ლიტერატურაზე

ცრუმორწმუნეობისა და ჯადოქრობის ჭაობში ჩაფლული საზოგადოება

დავით კლდიაშვილის „მსხვერპლი“ – განხილვა

საილუსტრაციოდ გამოყენებულია რუსუდან ფეტვიაშვილის ნახატი

დავით კლდიაშვილის პერსონაჟთა უმეტესობა რომ სიღატაკისაგან გადაგვარებული, ზნედაკარგული და დაცემულია, ყველასათვის ცნობილია. დარისპანი თავის გოგოს, გათხოვების მიზნით, კარდაკარ დაატარებს და არაფერს თაკილობს, ოღონდ როგორმე თავიდან მოიშოროს მუქთამჭამელი; სოლომან მორბელაძე მაშვლობით ყველას ატყუებს და ბოლოს თავად რჩება პირში ჩალაგამოვლებული; პლატონ სამანიშვილის მოგზაურობა ორნაქმარევი სადედინაცვლოს საძებნელად ხომ საერთოდ პარადოქსია და მერე მისი საქციელი, ორსულ ქალზე ძალადობა, მხეცობას უფრო წააგავს, ვიდრე ადამიანობას; ბეკინას ტრაბახი და ამპარტავნება ხომ უფრო ალოგიკურს ხდის ისედაც კომიკურ ვითარებაში მყოფ „შემოდგომის აზნაურთა“ ყოფას. არც მოთხრობა „მსხვერპლია“ გამონაკლისი ამ მხრივ.

ფეფენა ავი დედამთილია, რომელსაც კუდიანობას სწამებენ და მარინესთან, რძალთან გამუდმებით კონფლიქტი აქვს. იგი გააბოროტა მარტოობამ. ცხოვრებაში მარტოს მოუწია ჭაპნის ზიდვა, ამიტომ ჩამოშორდა მეზობლებს, არც რძლის სიცილი, ჩაცმა-დახურვა და ხალისიანი ცხოვრება მოსწონს. უნდა, როგორც თავად იტანჯებოდა, ასევე გაიმწაროს სიცოცხლე მარინემაც (ესეც გაბოროტებული ადამიანის გაუკუღმართებული შეხედულება ცხოვრებაზე). სულ ეჭვებშია და ელანდება, რომ რძალი ქმარს ღალატობს და სხვებს აწონებს თავს. ონისიმე, ბიძა მარინესი, ცდილობს მის გადარწმუნებას, რადგან თავად უშუამდგომლა ნიკას ცოლის შერთვისას, მაგრამ ამაოდ, გაკერპებული დედაკაცი გაიძახის: იმის სისხლს დავლევ, ვინც ჩემს ოჯახს ლაფში ამოსვრისო! მართლაც, ერთი უბრალო შეხვედრის გამო კინაღამ სცემა რძალს, რომელმაც გაქცევით უშველა თავს. ცრუმორწმუნეობის ჭაობში ჩაფლული საზოგადოება ისეა დათრგუნული და დამფრთხალი, რომ კაპასი ქალი კუდიანად ელანდებათ და ისე ეშინიათ მისი ჯადოსნობის, უმწეო გოგოს გაწირავენ, მიუგდებენ საცემრად დედამთილს. იმ დღის მერე მარინე ყველას თავს არიდებდა, შეეგუა თავის ბედს და ავ დედამთილს, ხალხში კი ხმა გავრცელდა, რომ ფეფენამ რძალიც კუდიანად აქცია და ჯადოქრობა დააწყებინა. იმდენად მალე დაიჯერა ყველაფერი სოფელმა, რომ ბავშვებსაც მარინეს სახელით აშინებდნენ. ონისიმემ, გრძნობდა რა პასუხისმგებლობას მარინეს მშობლების წინაშე, რადგან მას ჩააბარეს ქალიშვილის ბედი, ყოველივე შეატყობინა დედ-მამას. გაოგნებული დედ-მამა, რომ ჯანმრთელი და საღსალამათი შვილი უცებ გაკუდიანდა, დასახმარებლად მიმართავს საიქიოდან დაბრუნებულ მეზობელს, რომელსაც ძალა შესწევს კუდიანები მოაბრუნოს სააქაოს. აქაც აქცენტი კეთდება ღვთის მადლს დაშორებულ საზოგადოებაზე, რომ რწმენის ნაცვლად ეშმაკია ჩასახლებული მათ სულში, კუდიანისა უფრო სჯერათ, ვიდრე ღმერთის და ყველა უბედურების სათავეც ეს გამხდარა. „საიქიოში ნამყოფი“ ვასილ კარიკაძის ნაამბობი ხომ უფრო მკრეხელობას ჰგავს, ვიდრე გლეხის უბრალო ფანტაზიას. მას სჯერა, რომ სამოთხე მინდორია, რომელზეც ცხვრები ბალახობენ და ადამიანები ჩვეულებრივად მოძრაობენ. წარამარა კი გაიძახიან პერსონაჟები, ყველაფერი ღვთის ნებააო, მაგრამ რეალურად არაფერს აკეთებენ ისე, როგორც სახარებაში გვასწავლის უფალი, არ ეხმარებიან ერთმანეთს გასაჭირში, პირიქით, მარინე ხელში შეატოვეს უბირ დედაკაცს, მხოლოდ მოჩვენებითი თავაზიანობით უღიმიან ერთმანეთს, სინამდვილეში კი მხოლოდ საკუთარ უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე ზრუნავენ. ერთი კარგი ქეიფი ურჩევნიათ სიმართლის გარკვევაზე ზრუნვას.

მამა გადაწყვეტს, დაეხმაროს შვილს, რომელიც ქალს აღარ ჰგავს, დარდისა და ნერვიულობისაგან ჩამომხმარი და გაყვითლებულია. წაიყვანს იმ სახლიდან, სადაც იგი არ დააფასეს და ვერ მოუარეს, მაგრამ მარინე იმდენად დათრგუნული და შეშინებულია, ისევ უარზეა, მომკლავენო, ეშინია. კუდიანობაზეც გამოტყდება და თვალსა და ხელშუა ილევა, სიკვდილის პირასაა. სოფელიც კმაყოფილია, რომ ერთი კუდიანი მოიშორეს. მამა გადაწყვეტს შური იძიოს ფეფენაზე, რომელმაც გააკუდიანა მისი შვილი და დადაღავს მას ნალით, თუმცა საცოდავი მარინე ამ სანახაობას ვეღარ უძლებს და იღუპება.

მარინე გახდა საზოგადოების გულგრილობისა და ცრუმორწმუნეობის უდანაშაულო მსხვერპლი. ნაწარმოების მთავარი სათქმელია, რომ ადამიანებს ამ ჭაობიდან მხოლოდ განათლება, საღი გონება და ღვთის ჭეშმარიტი რწმენა გამოიყვანს. პარალელის გავლება შეიძლება ილია ჭავჭავაძის მოთხრობასთან „სარჩობელაზედ“, რომელშიც ასევე აღწერილია, როგორ გაწირა საზოგადოებამ უდანაშაულო ძმები, ერთ-ერთი სახრჩობელაზე აღმოჩნდა, ხოლო მეორე ამ ყველაფერში ადანაშაულებს იმ ადამიანებს, რომლებმაც არაფერი გააკეთეს თავის დროზე მათ გადასარჩენად.

ქეთევან ქათამაძე

რამდენიმე ასპექტი „შუშანიკის წამებიდან“

„შუშანიკის წამებაზე“ იმდენი რამაა დაწერილი, რომ, აბა, მე რა უნდა დავამატო, მხოლოდ ზოგიერთ ასპექტზე გავამახვილებ ყურადღებას. ასე, მაგალითად: დედოფალი, ხუცების პირით, შემოუთვლის გამაზდეანებულ მეუღლეს: *„არა თუ მე აღმემართა ხატი იგი და მემცა დავამხუ, ხოლო მამამან შენმან აღმართნა სამარტვილენი და ეკლესიანი აღაშენა და შენ მამისა შენისა საქმენი განჰყუნენ და სხვად გარდააქციენ კეთილნი მისნი; მამამან შენმან წმინდანი შემოიხუნა სახიდ თვისა, ხოლო შენ დევნი შემოიხუნენ...“*

ამ ციტატიდან მე „დევებზე“ გავამახვილებდი ყურადღებას. ქართველები მაინც და მაინც ხშირად არ ხმარობენ ხოლმე ეშმაკების სინონიმად დევებს. ეს, ალბათ, უფრო ზოროასტრიზმის მთავარი წიგნიდან მოდის. ყველამ ვიცით, რომ ზოროასტრიზმის მთავარი წიგნი „ავესტაა“. ის 3 ნაწილისაგან შედგება:
1. იასნა (მსხვერპლთშეწირვა ან ლოცვა);
2. იაშტები (ღვთაებისადმი მიძღვნილი წიგნები);
3. ვიდევდატი (კანონი დევებისა და ავი სულების წინააღმდეგ).

რატომღაც მგონია, რომ შუშანიკი სწორედ ამაზე მიუთითებდა ვარსქენს, როცა ეუბნებოდა, შენ დევები შემოიხვიე გარსო. ეს კი, თავის მხრივ, კიდევ ერთხელ ადასტურებს დედოფლის განსწავლულობას. ის, ეტყობა, არა მარტო ქრისტიანულ ლიტერატურას კითხულობდა, არამედ კარგად იცნობდა ზოროასტრიზმის დამაარსებელი წინასწარმეტყველის, ზარატუსტრას მთავარ წიგნს. ამიტომაც გამაზდეანებულ მეუღლეს, რომელსაც სურდა მათი დაპირისპირება ოჯახურ კონფლიქტად წარმოეჩინა, ეკამათებოდა სწორედ რელიგიური დაპირისპირების ნიადაგზე და ირიბად მიუთითებდა კიდეც მათ მთავარ წიგნზე.

ჩემს ყურადღებას იპყრობს ასევე ვინმე „სპარსი“. ვინ არის ეს ადამიანი (თანაც მამაკაცი), რომელიც ასე თავხედურად შედის შუშანიკთან და ბედავს მას რჩევები მისცეს? სანამ შევეცდები, ამ კითხვაზე გამოვთქვა ჩემი ვარაუდი, მინდა გავამახვილო ყურადღება ვარსქენის ხასიათზე.

ჩავუღრმავდეთ ამ ადამიანის სახეს. ყველამ იცის, რომ მას „მწარე გონებაი“ აქვს. ამავე დროს, პიტიახში არც ეჭვიანობისაგან დგას შორს. გავიხსენოთ, რას იფიქრებს მაშინ, როცა ცოლს, მისგანვე დატუსაღებულსა და უკვე 6 წელს დაშორებულს, მოციქულის პირით შეუთვლის: დაბრუნდი, თორემ *„ჩორდ წარგცე შენ ანუ კარად კარაულითაო“*, ხოლო შუშანიკი მიუგებს, *„მუნ კეთილსა რასმე შევემთხვიოო“*, *„ნუუკუე მთავართაგანს ვისმე ეცოლოსო“*, – იფიქრებს და უმალ ხელს აიღებს ამ განზრახვაზე, ანუ ერისმთავარი ეჭვიანია. აქ კიდევ სხვა რამე იქცევს ყურადღებას: შუშანიკი უკვე 6 წელია ციხეში დაამწყვდია პიტიახშმა და თითქოს მის ცოლობაზეც უარი თქვა. მაშ, რა არის ეს დაუსრულებელი მიგზავნა ხალხის და უკან დაბრუნების მოთხოვნა? როგორი პატიმარია შუშანიკი? ალბათ, უფრო ნებაყოფილობითი. თუკი ის შეიცვლის აზრს, მაშინათვე შეუძლია დაბრუნება. ესეც, ჩემი აზრით, ვარსქენის მიერ მოფიქრებული ვერაგული გეგმის ნანილია. ეტყობა, ის მოელის, რომ ფუფუნებას შეჩვეული დედოფალი გატყდება და რომელიმე მოთხოვნის შემდეგ აუცილებლად დაბრუნდება. მაგრამ ნურას უკაცრავად! განმარტოებით ცხოვრებამ კიდევ უფრო განამტკიცა შუშანიკი და კიდევ უფრო დაუახლოვა ქრისტეს. სწორედ ეს ვერ გათვალა ვარსქენმა, თორემ, ალბათ, სულაც არ გაუშვებდა ქალს სასახლიდან და იქვე, მუდმივი ზეწოლის შედეგად, შეეცდებოდა გადმოებირებინა ის. ჩემი აზრით, ვარსქენმა აქ ტაქტიკური შეცდომა დაუშვა და ამ ეჭვიანი კაცის ცოლთან ბედავს სპარსი შევიდეს, თანაც მე-5 საუკუნეში!? და ეს მაშინ, როცა თავის მაზლთან ვახშმობის გამო, შუშანიკი განრისხებული მიმართავს რძალს: *„ოდეს ყოფილ არს, თუცა დედათა და მამათა ერთად ეჭამა პური?“* ახლა მეორე შემთხვევა გავიხსენოთ, სადაც ჩანს, რომ ვარსქენი მოურიდებელი და სასტიკია. ნახეთ, რა უქნა მან ხუცესს, რომელმაც გაბედა და შენიშვნა მისცა: *„უფალო, რაისა ეგრე იქმ, და ეტყვი ეგრეთ ბოროტსა და აგინებ ეპისკოპოსსა და წმიდასა შუშანიკს რისხვით ეტყვი?“* არც მეტი, არც ნაკლები, მან ამ ხუცესს *„უხეთქნა კუერთხითა მას ზურგსა და მან ვერღარა იკადრა სიტყვად“*.

ამ მაგალითების მოხმობით, უბრალოდ, კვლავ წარმოვაჩენ პიტიახშის მბრძანებლურ და ეჭვიან ბუნებას მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ხაზი გავუსვა „ვინმე სპარსის“ გამბედაობას. განა ვინაა ეს სპარსი ისეთი, რომ ბედავს შევიდეს ეჭვიანი პიტიახშის მეუღლესთან მის დაბრუნებამდე? უფრო მეტიც, ის არის პირველი, რომელიც ერისმთავარს აცნობებს ცოლის განდგომას. ყოველივე აქედან გამომდინარე, რატომღაც, დარწმუნებული ვარ, რომ ეს „ვინმე სპარსი“, რომლის ვინაობასაც არ გვიმხელს ავტორი, არ შეიძლება ჩაითვალოს უბრალო, რიგით „მოხელედ“. პირიქით, მე მგონი ის სპარსეთის მეფის მიერ კარგად დაფასებული და მის მიერვე ხელდასმული კაცია. სხვას პიტიახში, უბრალოდ, არც მოუსმენდა და ეს სხვა, პიტიახშს ამდენს ვერ შეჰბედავდა.

ახლა გავარკვიოთ, რა აწუხებს ამ სპარსს? მან კარგად იცის, რომ ქართლის ტახტზე ძლიერი მეფეა ასული. სპარსეთის მიზნებში შედის ამ სიძლიერის შესუსტება. იქნებ სწორედ ამ სპარსმა შეაგულიანა კიდეც ვარსქენი ირანის კარზე წასასვლელად? და ვარსქენიც მიჰყვა მის რჩევას. მართლაც, პიტიახში შაჰმა კარგად მიიღო და დიდი წყალობაც გამოიჩინა: *„განიხარა მეფემან და ბრძანა ცოლად მისა ასული მეფისაო“*. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ შუშანიკმა საქმე უკუღმა შეატრიალა. თავისი საქციელით დედოფალმა ყველას კარგად უჩვენა, რომ პიტიახში მოქმედებს ქრისტიანობის საწინააღმდეგოდ, ეს კი ქვეყნის წინააღმდეგ წასვლასაც ნიშნავს. რა ქნას სპარსმა? მან რამენაირად უნდა დააბრუნოს გაქცეული უკან. ამიტომაც მიდის ის ეკლესიაში (შუშანიკი მახლობელ სენაკში ცხოვრობს). ეს მაზდეანი კაცი ცდილობს, მის მიერ წარმატებით წამოწყებული საქმე და, ახლა უკვე ჩაფლავებული, კვლავ წაღმა შემოატრიალოს. წმინდა შუშანიკი იცნობს სპარსს. ალბათ, მრავალჯერ უნახავს ის თავის სასახლეში ქმართან განმარტოებული. იქნებ ამიტომაც გრძნობდა კიდეც რაღაც ავს და ყველას ევედრებოდა *„ლოცვის-ყოფად მისთვის, რაითამცა ცვალა იგი ღმერთმან სახისა მისგან უგუნურებისა და იქმნამცა გონიერებასა ქრისტეისსა“*. ამიტომაც არაა გასაკვირი, რომ მასთან მისული სპარსისგან ქალმა *„მოიზღუდა თავი მტკიცედ“*, მაგრამ სპარსი ფარ-ხმალს არ ყრის. მას სურს, *„მწარე გონების“* მქონე ვარსქენი დააშოშმინოს. სპარსეთის კარს არ აწყობს, ეს საქმე გახმაურდეს, ეგებ მოაბრუნონ ქალი შინ და ყველაფერი ძველებურ კალაპოტში ჩადგეს. ამიტომაც საჭიროა, პიტიახშმა არ იმოქმედოს თავისი ბუნების შესატყვისად, პირიქით, დინჯად და აუღელვებლად უნდა მიუდგეს საქმეს: *„ნუ რას ფიცხელსა სიტყვასა ეტყვი მას, რამეთუ დედათა ბუნებაი იწრო არს“*, – აფრთხილებს ის ვარსქენს. სპარსის ეს სიტყვები, თუ გავითვალისწინებთ მისი ქვეყნის ტრადიციებს, საარაკოც კია! განა შეიძლება, ის მართლა ასე ფიქრობდეს ან გულწრფელად აწუხებდეს შუშანიკის ბედი? ჩემი აზრით, არა. მას ის აწუხებს, რომ შუშანიკის საქციელის შედეგად მარცხდება სპარსული პოლიტიკა ქართლში და ის გავლენა, რომელსაც პიტიახშის გამაზდეანების შემდეგ მოელოდნენ, სავარაუდოდ, მთლიანად ქარწყლდება. დამეთანხმებით, ალბათ, თუ რა შედეგი შეიძლებოდა, მოჰყოლოდა პიტიახშის საქციელს, თუ რა შეიძლება ეფიქრა რიგით ადამიანს, რომელსაც სპარსთა ბატონობისგან სული და გული ეხუთებოდა და სუნთქვა ეკვროდა: თუ ერისთავმა მიიღო მაზდეანობა, მე რატომ არ შემიძლია იგივე გავიმეორო, ე.ი. ეს არც ისეთი დიდი ცოდვააო.

მაგრამ სწორედ ამას შეუშალა ხელი დედოფალმა და იმ დროისთვის მართლაც რომ გაუგონარი გმირობა ჩაიდინა: მან დატოვა მეუღლე და ეკლესიას მიაშურა თავის შესაფარებლად. თუ რა გავლენა მოახდინა ამან საზოგადოებაზე, კარგად ჩანს თხზულების დასასრულს: შუშანიკთან გამოსამშვიდობებლად *„აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი, აზნაურნი და უაზნონი სოფლისა ქართლისანი მოვიდეს“*. თითქოს მთელი ქართლი ფეხზე დამდგარა და მოდის მომაკვდავ დედოფალთან გამოსამშვიდობებლად. თუ „აბოს წამებასთან“ გავავლებთ პარალელს, ეს მონაკვეთი ტოლფასია იმ ეპიზოდისა, როცა წმინდანის წამების ადგილისაკენ *„იწყო სიმრავლემან ქალაქისამან ქრისტიანეთმან და განაგდეს შიში მძლავრთაი მათ და განვიდოდეს ყოველნივე ადგილსა, საცა დაწუნეს ხორცნი იგი წმიდისა მოწამისანი“*. ორივე შემთხვევაში ჩვენ წინაშეა სულიერად შეცვლილი, თითქოს განწმენდილი საზოგადოება.

„შუშანიკის წამებაში“ შემდეგ არსად ჩანს დედოფლის „გულშემატკივარი“ სპარსი. მე ასე მგონია, რომ ის, ალბათ, უკან გაიწვია შაჰმა წარუმატებელი პოლიტიკის გამო (იმ პერიოდში მაინც). ყოველ შემთხვევაში, ეს „ვინმე სპარსი“ არა მგონია, რომ უბრალო, შემთხვევითი პერსონაჟი იყოს თხზულებისა, პირიქით, მისი წარმოჩენით იაკობ ხუცესმა, ფარული დიალოგისა თუ სულიერი ჭიდილის ჩვენების ამ დიდოსტატმა, კარგად დაგვანახა, რომ „ვინმე სპარსი“, სპარსეთის პოლიტიკის ქართლში გამტარებელი, ქრისტიანი ქალის ურყევ ნებას შეჭიდებული, დამარცხდა, ხოლო რა ბედი ეწია თვით ვარსქენს, ამის შესახებ ყველამ კარგად ვიცით.

ერთ რამეს დავამატებ: ყოველი საზოგადოება მხოლოდ მაშინ იმარჯვებს, როცა სულიერად განიწმინდება. ამ განწმენდის მაგალითებს ხალხს თავისი საუკეთესო შვილები უჩვენებენ ხოლმე. მეხუთე საუკუნეში ეს მაგალითი, უეჭველია, შუშანიკმა უჩვენა.

აზა ქადარია
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სკოლა „ინტელექტი“

იუბილე

ამაგდარი პედაგოგი და მოქალაქე

ბატონი ზურაბის საქმიანობა იმის საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ უნდა ემსახუროს ნამდვილი პატრიოტი და მოქალაქე მშობლიურ ქვეყანას. მისი ადამიანური კეთილშობილება, ტრადიციულისა და ზნეობრივისადმი ერთგულება, როგორც მოქალაქეს და აღმზრდელს, უდიდეს ავტორიტეტს უქმნის საზოგადოებაში.

ზურაბ პლატონის ძე გოგუაძე დაიბადა 1950 წლის 10 ნოემბერს, ლანჩხუთის რაიონის ულამაზეს სოფელ აკეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1968-1973 წლებში, სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1973-1974 წლებში, მუშაობდა ქობულეთის რაიონის დიდვაკის 8-წლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლად, 1974-1980 წლებში – ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად; 1980-1981წწ., იმავე სკოლაში – დირექტორის მოადგილედ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის დარგში და ისტორიის მასწავლებლად. 1981-2006 წლებში – აჭარის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში ისტორია-საზოგადოებათმცოდნეობის კაბინეტის გამგედ. ხელმძღვანელობდა აჭარა-გურიის ისტორიის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების კურსებს. ამავე პერიოდში ლექციების კურსს კითხულობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის კათედრაზე, ისტორიის სწავლების მეთოდიკაში. იმავე კურსს კითხულობდა სხვადასხვა კერძო ინსტიტუტებში. 1995-2000 და 1999-2005 წლებში მუშაობდა ბათუმის №22 და №24 საშუალო სკოლებში ისტორიის მასწავლებლად.

2005 წლიდან დღემდე მუშაობს ბათუმის №15 საჯარო და შპს ლიცეუმ ევრო-2000-ში ისტორიის მასწავლებლად. პედაგოგიური საქმიანობის პერიოდში ბატონ ზურაბს ჩატარებული აქვს მიზნობრივად გათვალისწინებული არაერთი საჩვენებელი საქალაქო გაკვეთილი. მისი სტატიები წლების განმავლობაში იბეჭდებოდა გაზეთებში: „სახალხო განათლება“ და „აჭარა“.

ახალგაზრდა თაობების აღზრდისა და განათლების სისტემაში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ზურაბ გოგუაძე დაჯილდოებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელებით. 2014 წელს დაჯილდოვდა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგთა კავშირის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის საპატიო სიგელით; ჰყავს ორი შვილიშვილი – ზურაბი და გიგა, რომლებიც ბათუმის №15 საჯარო სკოლაში XII და XI კლასებში სწავლობენ.

ვულოცავ ბატონ ზურაბს საიუბილეო თარიღს. ვუსურვებ ხანგრძლივ და ბედნიერ სიცოცხლეს, პროფესიულ საქმიანობაში – დიდ წარმატებას!

ბადრი გეჩბაია
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სასკოლო აქტივობა

„ნეტავი ბევრი გაზარდოს შენისთანები დედამა...“

30 ოქტომბერს, თბილისის №219 საჯარო სკოლაში დიდი ქართველი კლასიკოსის აკაკი წერეთლის დაბადების 175 და გარდაცვალების 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება ჩატარდა.

მოსწავლეებმა წარმოადგინეს აკაკი წერეთლის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ეპიზოდები. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდა აკაკის ლექსებზე შექმნილი სიმღერების ღვთაებრივი მელოდიები: „ციცინათელა“, „სულიკო“, „ჩონგური საქართველოა“, „ყოველ სნეულებაზედ“ ; სცენები „ბაში-აჩუკიდან“; გააცოცხლეს პოემა „ნათელას“ გმირები – წითელ ჩოხაში გამოწყობილი ცოტნე დადიანი, თეთრ სადედოფლო კაბაში – წერეთლის ასული ნათელა, ჩაბალახიანი ნოინი; პირველკლასელების მიერ დადგმული „მგელი და კრავი“. დარბაზში მქუხარე ტაში ისმოდა.

ღონისძიების მსვლელობისას ეკრანზე ერთმანეთს ენაცვლებოდა აკაკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოები. დასასრულს კი დარბაზში გაისმა პოეტის მიერ წაკითხული ლექსი „განთიადი“.

სკოლის დირექტორმა, ბატონმა **შალვა ხუციშვილმა** მადლობა გადაუხადა მოსწავლეებსა და ღონისძიების ორგანიზატორ მასწავლებლებს: **მარინე პეტრიაშვილს**, **ნანა ქაცანაშვილს** და **ციური კუტიბაშვილს**.

მედეა ტატიშვილი

* * *

ლუარა სარიშვილი მესამე ათწლეულს ითვლის ლახამულის სკოლაში. მის ხელში ბევრმა თაობამ გაიარა. დაოჯახებულები, შვილებ და შვილიშვილებმრავალნიც არიან მათ შორის. მაგრამ არიან ისეთებიც, ვინც წუთისოფლიდან მარადიულ სამყაროში გადაინაცვლა. მათი გახსენება ყოველთვის ცრემლებს ჰგვრის, რადგან ყველა ნამოწაფარის ყოველი დღე კარგად ახსოვს.

გურული ქალი ლახამულას ისე შეეთვისა და შეესისხლხორცა, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელია, აქაური ტრადიციებიც ზედმიწევნით იცის, დაუზარელი, ერთგული ადამიანია. ცოტა სიხარული, ცოტა სიყვარული, ცოტა ყურადღებაც ჰყოფნის, რომ ბედნიერი იყოს. მართალია, პირადი ცხოვრებით არაა განებივრებული, მაგრამ მზე და მთვარე ძმისშვილზე ამოსდის, მოსწავლეები ხომ მისი სული და გულია.

გურული ხასიათის დამახასიათებელი სიფიცხეც აქვს და ჭარბად გურული იუმორიც. როგორც ყველა გურულს (და არა მარტო), მასაც ძალიან უყვარს ნოდარ დუმბაძე. ამის დასტურად, სკოლაში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მოაწყო. სასიამოვნოდ გაოცებულები დავრჩით, როცა ჩვენ წინაშე ოლღა ბებია, ილიკო, ილარიონი,ზაბლონა მასწავლებელი, მერი, ბენედიქტე და სხვა პერსონაჟები ისე წარმოგვიდგნენ, გურიაში გვეგონა თავი! მწერლის გამონათქვამები, იუმორისტული ჩანაწერები, საბავშვო ლექსები – ეს ყველაფერი ლახამულელმა მოსწავლეებმა – **დავით** და **ლუკა კვირიკაძეებმა**, **ანა** და **მარიამ კობახიძეებმა**, **სალომე**, **დავით**, **მაია**, **ლექსო**, **ლუკა ჭკადუებმა** – ლუარა მასწავლებლის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს.

ღონისძიება ნოდარ დუმბაძის უკანასკნელ წუთებში ნამღერი ჩანაწერით დასრულდა.

* * *

„ნუ მივატოვებთ ერთმანეთს, როცა ერთმანეთს ვჭირდებით“! – შემთხვევით არ მომიტანია ეს სიტყვები. არც ის მომხდარა შემთხვევით, რომ ერთ მშვენიერ დღეს ერთმა მუსიკალური სულის ადამიანმა გადაწყვიტა, პროექტში „ასწავლე საქართველოსთვის“ მიეღო მონაწილეობა და არჩევანი სვანეთზე, კერძოდ, ხაიშის საჯარო სკოლაზე გაეკეთებინა. თუმცა, არ იცოდა, სად, როგორ და რა გარემოში მიდიოდა. სკოლის დირექტორს შეეხმიანა და პასუხით – ნურაფრის გეშინიათ, თქვენ ევროპაში მოდიხართო, – მიხვდა, რომ კარგ ადამიანებთან ექნებოდა საქმე (იუმორი ადამიანის ხასიათზე მეტყველებს) და არც შემცდარა!

თვენახევარში ხაიშელი პატარების უმრავლესობა სიტყვებით კი არა, სიმღერით ამეტყველდა... მასწავლებელი ბავშვებს დაჰპირდა, სახალხო მომღერალს მოგიწვევთ სტუმრადო, თუმც ბევრს არარეალურად ეჩვენა ეს დაპირება.

მეგობარი რისი მეგობარია, თუ გვერდით არ დაგიდგა! ჰოდა, ისიც (მეგობარი) დაუფიქრებლად დათანხმდა, რამდენიმე ასეული კილომეტრი გამოიარა და 2 ნოემბერს ხაიშის საჯარო სკოლის არა მარტო მოსწავლეები, პედკოლექტივიც გაახარა.

მაშ, ასე, ხაიშის საჯარო სკოლის მუსიკის მასწავლებელმა **იზა ჩაკვეტაძემ** მეგობარი, სახალხო მომღერალი, პროექტ „ნიჭიერის“ პირველი „ნიჭიერი“ – **გულნაზ გოლეთიანი** ასტუმრა სკოლას. ქართული ჰანგებით გაიჟღინთა ხაიში – აღფრთოვანებული მასპინძლები, ცრემლმორეული პედაგოგები და პატარებით არანაკლებ მოხიბლული ქალბატონი გულნაზი. პატარა მომღერლის **მარი გოშთელიანის** ნამღერმა, თავისდაუნებურად, სახალხო მომღერალი ფეხზე წამოაყენა და გარინდებული დარბაზიც, მათი დუეტის მოსმენის შემდეგ, ფეხზე იდგა.

გარეთ შემოდგომის ყვითელი ფოთლები მუსიკას (და არა ქარს!) აყოლილნი ცეკვავდნენ ქართულ ჰანგებზე... „ნუ მივატოვებთ ერთმანეთს, როცა ერთმანეთს ვჭირდებით...“

ლალი მარგიანი
ლახამულის საჯარო სკოლა

სპორტი

ლელო-სარასენსი – საფრანგეთის გამარჯვებული

უფროს ქართველ მორაგბეებს წარმატებით არც პატარები ჩამორჩებიან, რის დასტურადაც მათი ფრანგული მიღწევა გამოდგება. თვის დასაწყისში „ლელო-სარასენსის“ 2006-2007 და 2004-2005 წლებში დაბადებულთა გუნდებმა სამხრეთ საფრანგეთში, კანთან ახლომდებარე ქალაქ ანტიბში „ბელმასის თასზე“ ითამაშეს, სადაც უფროსები ჩემპიონები გახდნენ, პატარები კი მეორე ადგილზე გავიდნენ.

ეს ტურნირი ადგილობრივი კლუბის – „ანტიბ სოფია ანტიპოლისის“ მიერ იყო ორგანიზებული, ჩვენებს კი იქ მენეჯერად **ილო კახოიძე** დახვდა, ვინც ადრე ფრანგულ კლუბებში გამოდიოდა, კარიერის დასრულების შემდეგ კი იქვე დარჩა საცხოვრებლად და ბიზნესი წამოიწყო – კორსიკელ პარტნიორთან ერთად მეღვინეობას მიჰყო ხელი, საქართველოში ვენახი გააშენა და საფრანგეთში ქართული ღვინო გააქვს, ამ გზითაც ეხმარება მეღვინეობას. მან ჩინებული პირობები დაახვედრა იქ ჩვენს მორაგბეებს. „პატარა ბორჯღალოსანთა“ თამაშებს საფრანგეთში მოთამაშე ჩვენი ეროვნული ნაკრების წევრები – **ლევან ჩილაჩავა**, **ლაშა ლომიძე**, **რევაზ ბელქანია** და **გიორგი მენაბდიშვილიც** დაესწრნენ. მათი სტუმრობა დიდი მოვლენა გამოდგა არა მარტო ჩვენი ბავშვების, არამედ ტურნირში მონაწილე ყველა მოზარდისთვის. მით უფრო, უკვე გამოცდილმა მორაგბეებმა რჩევები არ დაიშურეს პატარებისთვის და ტურნირის დაწყებამდე მათთან ერთად სამახსოვრო სურათებიც გადაიღეს. როგორც გუნდის მწვრთნელები ამბობენ, ამ დადებითმა მუხტმაც დიდი როლი ითამაშა საბოლოო წარმატებაში.

ტურნირში ძირითადად ფრანგული კლუბები გამოდიოდნენ, თუმცა იყვნენ სხვა ქვეყნებიდან ჩასულებიც. საფრანგეთიდან, მსოფლიოს ამ ერთ-ერთი უძლიერესი სარაგბო ქვეყნიდან კი სულ ნარჩევ-ნარჩევი გუნდები გამოდიოდნენ – თავიანთ ასაკში ქვეყნის ჩემპიონები. ჩვენმა ბავშვებმა ჯერ ჯგუფურ ეტაპზე იმარჯვეს, მერე კი ფინალურში სამივე მეტოქეს მოუგეს. უფროსებს ერთი გამარჯვება დააკლდათ ანალოგიურ წარმატებამდე. რაც მთავარია, ქართველებმა ფრანგების სიმპათია თანამედროვე, ლაღი, გაშლილი თამაშით დაიმსახურეს. მასპინძლებმა თურმე აღიარეს კიდეც, თქვენგან ასეთ თამაშს არ ველოდითო. ამას ბავშვების პიროვნული თვისებები, კარგი და ზრდილობიანი ქცევები, მინდორზე რაინდული მოქმედებებიც დაემატა და რა გასაკვირია, რომ ხშირად ფრანგებიც კი ბოლო ხმაზე ქომაგობდნენ ქართველებს. იქ გამოსვლით ჩვენებმა დაამტკიცეს, რომ საქართველოში ბავშვთა რაგბი სწორად ვითარდება და მოზარდები პატარობიდანვე სწავლობენ თანამედროვე რაგბის. თავად ბავშვებმა კი დიდი გამოცდილება მიიღეს – დარწმუნდნენ, რომ ფრანგებთანაც შეიძლება მოგება და დაუმარცხებელი არავინაა.

მინისტრმა თავისი სკოლა ინახულა

კლასიკური გიმნაზიის შემდეგ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ტარიელ ხეჩიკაშვილი** ამჯერად იმ სკოლას ესტუმრა, რომელიც მან დაამთავრა – ნაძალადევში მდებარე დედაქალაქის მე-12 საჯარო სკოლას. მინისტრს, მოსწავლეებთან ერთად, თავისი კლასის დამრიგებელი და მასწავლებლებიც დახვდნენ. ხეჩიკაშვილმა დაათვალიერა სკოლის სპორტული ბაზა, მისი ინფრასტურქტურა და იმის მიუხედავად, რომ თავის დროზე თავად ფეხბურთს მისდევდა, ამჯერად მოსწავლეებთან ერთად ფრენბურთი ითამაშა. თუმცა, მინისტრი იქ მხოლოდ სათამაშოდ არ მისულა და სკოლას საჩუქრად სპორტული ინვენტარი გადასცა. თან შეხვდა უფროსკლასელებს, მათ კითხვებსაც უპასუხა და თავისი მოსწავლეობის პერიოდიდან რამდენიმე ეპიზოდიც გაიხსენა.

ძიუდო სკოლებში შედის

ძიუდო თბილისის კიდევ ერთ სკოლაში შევიდა – მუხიანში მდებარე კერძო სკოლა „პრომეთეს“ სპორტულ დარბაზში ძიუდოს კლუბი ჩამოყალიბდა, რომელსაც სათავეში ახლო წარსულში ეროვნული ნაკრების წევრები, ძმები **ხვიჩა** და **გოჩა ხუციშვილები** ჩაუდგნენ. საქართველოს ძიუდოს ფედერაცია მათ ტატამებით დაეხმარა, კლუბში კი უკვე 50-მდე მოზარდია გაერთიანებული. ცოტა არც ესაა, თუმცა, ვიმედოვნებთ, მათი რაოდენობა ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან სულ უფრო იზრდება თავად ძიუდოს პოპულარობა.

საქართველოს ძიუდოს ფედერაციის და მისი პრეზიდენტის, **დავით ქევხიშვილის** ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება სწორედ სკოლებთან მუშაობა და ბავშვების აქტიურად ჩართვაა სპორტის ამ სახეობაში. ბოლო 2 წლის განმავლობაში, დაახლოებით, 10-მდე საჯარო სკოლაშია გახსნილი სექცია, რომლებიც, ბოლო პერიოდში, კლუბებად რეგისტრირდებიან, რაც სამომავლოდ ძალიან კარგი საქმეა. თან ამ სიაში თბილისურთან ერთად შედის რეგიონების სკოლებიც. მაგალითად, ყვარლის რაიონში ორი წლის წინ დაიწყო ეს პროცესი, კლუბი გაიხსნა საჩხერეშიც, სოფელ ჭალოვანშიც. იმედია, მათ კახეთის, შიდა თუ ქვემო ქართლის ის რაიონებიც მიჰბაძავენ, სადაც ძიუდო, ტრადიციულად, სპორტის პოპულარული სახეობაა.

გადაწყვეტილია, რომ ძიუდოს კლუბი კიდევ ერთ კერძო სკოლაში – „ფესვები“ გაიხსნება, სადაც ტატამი უკვე შეტანილია. მისი გახსნა საინტერესო ორი ფაქტორითაა – ტერიტორიულად დიდ დიღომში მდებარეობს, სადაც აქამდე ძიუდოს არანაირი ტიპის ჯგუფი არ ყოფილა, ანუ ფედერაცია ამ უბანსაც „აითვისებს“, მწვრთნელად კი საქართველოში გადმოსახლებული კანადელი **კატალინ გუიკა** იმუშავებს. მას კანადაშიც ჰქონდა საკუთარი კლუბი, აქ გადმოსახლების შემდეგ კი გადაწყვიტა, გამოცდილება ქართველ ბავშვებსაც გაუზიაროს.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

4 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული

მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

6 ლარი

დამრიგებლის პორტფოლიო

დამრიგებლის პორტფოლიო საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით

საინფორმაციო გზამკვლევი აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი



6 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

5,50 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განაკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599 88 00 73, 295 80 23

მიმდინარეობს ხელმოწერა

მასწავლებლის ბიბლიოთეკა



პუბლიკაცია მოიცავს დაწყებითი კლასების მასწავლებლებისთვის საინტერესო საკითხებს. წიგნში მიმოხილულია შემდეგი თემები: ადრეული განათლების მნიშვნელობა ბავშვის შემდგომი განვითარებისთვის, სასკოლო მზაობის ცნება და დახმარების სტრატეგიები სკოლასთან ადაპტაციისთვის, სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა და კონკრეტული რეკომენდაციები, სწავლის მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, სასწავლო მიზნების ფორმულირება, კრიტიკული აზროვნების, მათემატიკური უნარების, მეტყველების განვითარება და კონკრეტული რეკომენდაციები ზეპირმეტყველებისა და წერითი დავალებებისათვის, კითხვის მნიშვნელობა და კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა-დისლექსია, ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და რეკომენდაციები მოძრავი თამაშებისთვის, განმავითარებელი შეფასების საშუალებები, მშობლებთან თანამშრომლობა, საკლასო ოთახის მოწყობის სპეციფიკა, კლასის მართვის სტრატეგიები.



წინამდებარე სახელმძღვანელოში ავტორების მიერ პრაქტიკულად არის ახსნილი ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის უმნიშვნელოვანესი საკითხების სწავლების მეთოდიკა როგორც პირდაპირი (დედუქციური), ისე არაპირდაპირი (ინდუქციური) სწავლების თვალსაზრისით. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს გაკვეთილის დაგეგმვისა და დაგეგმილი გაკვეთილის ეფექტურად ჩატარების პროცესში.

თითოეულის ფასი – 7,30 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი

ნატა ახმეტელი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკო მურღულია
ისტორია
ტესტები ეროვნული გამოცდისთვის
~~9~~ ლარი 8 ლარი

ისტორია
თეორიული საკითხები და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~6~~ ლარი 5 ლარი



ქეთევან ტატიშვილი, ზურაბ ბერაია
ფიზიკა
თეორიული საკითხები
და ტესტები საატესტატო გამოცდებისთვის
~~8~~ ლარი 7 ლარი

ფასი – 15 ლარი

შოთა რუსთაველი
ვეფხისტყაოსანი
ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია
სერიიდან ინტელექტი სკოლას

წიგნი I
ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II
„ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III
XIX საუკუნის მწერლობა
წიგნი IV
XX საუკუნის მწერლობა

თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

10 ლარი

თითოეული კრებულის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია

თითო ტომის ფასი 12 ლარი

ავტომობილი
სამურაი
უდაბნო
გამოგონებები
განძის ძიება
გლადიატორები
დრო და კალენდარი
ძველი ეგვიპტე
ევროპა
ვიკინგები
ფიზიკა
ახსნილი და აუხსნელი
ფენომენები
კოშკები და ცათამბჯენები
უძველესი ადამიანები
მათემატიკა
ძველი რომი
ძველი საბერძნეთი



რა არის რა

აქცია

მთავაზობთ 10 ტომს ენციკლოპედიების სერიიდან „რა არის რა“ სპეციალურ ფასად. პირველი 10 სეზონიერი თითო ტომს, 12 ლარის ნაცვლად, 7 ლარად მიიღებს.

ამინდი
არქიტექტურა
კრიმინალისტიკა
ჯანსაღი კვება
მთები
ოლიმპიური თამაშები
მეკობრეები
ქიმია
ხალხთა დიდი გადასახლება
მეცნიერებები

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:

მიმღები – შპს „ახალი განათლება“,
ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22

ყურადღება! ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი

თემატური კლასიკები

დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. შინაური ცხოველები და ფრინველები
8. ჰიგიენის ნივთები
9. სოფლური ნივთები
10. ტრანსპორტი
11. წყლის ბინადრები

2.50 ლარი

მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ძვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ზღვის დინებები
11. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
12. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
13. მსოფლიოს შვიდი საოცრება

4 ლარი

მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

4 ლარი

რეპროდუქციები

1. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
4. მენინები - დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
8. საძინელა - ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასერნება გრან ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

6.5 ლარი

მითითებულია ერთი ცალის ფასი

„ჩვენ ვხატავთ მშვიდობას – მშვიდობა უდრის მომავალს“

ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ მსოფლიოსთვის ისეთ აუცილებელ, საჭირო და უმნიშვნელოვანეს თემას მოიცავდა, როგორიცაა მშვიდობა. „ჩვენ ვხატავთ მშვიდობას – მშვიდობა უდრის მომავალს“. ეს იყო შემოქმედებითი საღამოს მთავარი მესიჯი და ის უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადებიდან 82 და აღსაყდრებიდან 38-ე წლისთავს მიეძღვნა.

საოცარია ბავშვის თვალით დანახული სამყარო, ასეთი ბრწყინვალე და ფერადოვანი, ასეთი მშვიდობიანი და სიკეთით სავსე, მზესავით ნათელი და მშვენიერი. ეს ყველაფერი აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ვალერიან არქანიას სახელობის საგამოფენო დარბაზში გამოფენილი ნახატებიდან ჩანდა. ორგანიზატორი და ინიციატორი გახლდათ აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრი (თავმჯდომარე – **სვეტლანა ქეცბა**), აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირი „მომავალის ხმა“ (ხელმძღვანელი – **იზონერა ბერაია**). წალკის ეპარქიის მმართველმა, ეპისკოპოსმა გრიგოლმა დალოცა პროექტის ბენეფიციარები. ამ დღის განსაკუთრებულობაზე ისაუბრეს და მონაწილეებს ნამუშევრები მოუწონეს: აფხაზეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარემ **გიზო ხუბუამ**; სულიერებისა და კულტურის ცენტრის თავმჯდომარემ **სვეტლანა ქეცბამ**; აფხაზეთის მთავრობის თავჯდომარემ **ვახტანგ ყოლბაიამ**; აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ **გია გვაზავამ**; პოეტმა და მხატვარმა **თინათინ მღვდლიაშვილმა**; გალერეის დირექტორმა, აფხაზეთის დამსახურებულმა მხატვარმა **დავით ბაძაღუამ**; სულიერებისა და კულტურის ცენტრის პრესმდივანმა **ციცინო ჯულუხიძემ**; სულხან-საბას უნივერსიტეტის სტუდენტმა **თამარ დორეულმა** და სხვებმა.

შეკრებილებს მიმართეს ღონისძიების წამყვანებმა, აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის წევრებმა.

ანა შელია: *„დღევანდელი დღე ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან მისი უწმიდესობის ლოცვა-კურთხევით შევძელით შევხვედროდით ერთმანეთს, ვყოფილიყავით აქტიურად ჩართული მსოფლიოში უპირველესი და უმნიშვნელოვანესი საკითხის მოგვარებაში, როგორიც არის მშვიდობა“.*

რეზო ჩაკვეტაძე: *„ჩვენ შევძელით, ომისა და ძალადობის წინააღმდეგ ჩვენი დამოკიდებულება და განწყობა ჩვენი ნამუშევრებით, ნახატებით, ლექსებით, ესსეებითა და ესკიზებით გამოგვეხატა“.*

ელენე შელია: *„სამშობლოს სიყვარულით გამთბარი ნამუშევრები გამოვფინეთ, რომ ყველამ გაიგოს ჩვენი ხმა, ყველამ დაინახოს ჩვენი თვალით დანახული სამყარო. ჩვენი გულწრფელი სურვილი აფხაზეთში მშვიდობიანად დაბრუნებაა, რადგანაც მშვიდობა სიკეთის, სიყვარულის, სტაბილურობის, შენდობის, ერთმანეთის თანდგომისა და ქვეყნის ძლიერების საწყისია“.*

იოანა წულაია: *„ჩემმა ნახატებმა, მსოფლიო ბავშვთა ნახატების გამოფენაზე ჩეხოსლოვაკიაში, საპრიზო ადგილი დაისაკუთრა, რამაც ძალიან გამახარა. მაგრამ ჩემი სურვილია აფხაზეთში დავბრუნდე და მისი ლამაზი მთა-ბარი დავხატო. მე ბევრი მეგობარი მყავს. მინდა აფხაზმა თანატოლებმაც გაიხარონ ჩემი წარმატებით და მათ მივაწვდინო ჩემი ხმა: „ვიაროთ ერთად“ , „ვაშენოთ ერთი სახლი“.*

ანა ქაშიბაძე: *„ძალიან მიყვარს ჩემი სამშობლო აფხაზეთი. უფრო სწორად, სოხუმი, სადაც უნდა დავბადებულიყავი თურმე. მინდა, დედასთან ერთად, მალე დავბრუნდე ჩემს სახლში“.*

ნინო გერგაული: *„ჩემო ენგურს გაღმა დარჩენილო თანატოლებო, თქვენთვის დავხატე სამების ტაძარი, მზე და ყვავილები. მინდა, თქვენც დახატოთ ილორის ეკლესია, ზღვა და ჩვენი საყვარელი ქალაქის – სოხუმის ლამაზი ქუჩები და მომავალში ერთად მოვაწყოთ ეს გამოფენა. ყველამ დაინახოს, თუ ერთად ვიქნებით, მტერი ვერასოდეს დაგვამარცხებს...“*

პეტრე კოლხის ლექსები – „ქართული ენის საგალობელი“, „ილორის ჯვარი“, „სამშობლო“ – წაიკითხეს დეკლამატორებმა: **ნინო გვარამიამ, ხატია ქებურიამ** და **ანა ქაშიბაძემ**.

ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი №1“-ის VI კლასის მოსწავლემ, **ალექსანდრე ხუხუშვილმა** შეასრულა ჩალხიას არია ოპერიდან „მინდია“ (კონცერტმაისტერი – **მარინა გიგინეიშვილი**, პედაგოგი – **ელენე ჯანჯალია**) ; ლელას არია შეასრულა ოპერის სოლისტმა **ხათუნა ჭოხონელიძემ**; ლაზური, აჭარული, რაჭული, კახური და მეგრული ხალხური სიმღერები იმღერეს აფხაზეთის შემოქმედ ბავშვთა კავშირის „მომავლის ხმა“ დამეგობრებულმა ფოლკლორის ეროვნული სკოლის აღსაზრდელებმა (ხელმძღვანელი – **გიორგი უშიკიშვილი**).

შემოქმედებით საღამოზე წაიკითხეს იქნა ქართველი, აფხაზი და ოსი ბავშვების მიმართვის ტექსტი მსოფლიოს ბავშვებისადმი, რომელიც, პროექტის მონაწილეთა ხელმოწერებით, გადაეცა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია „იუნისეფს“.

ღონისძიების დასასრულს, აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ თავის რეზიდენციაში უმასპინძლა. ბავშვებმა თავიანთი ხელით შესრულებული ნამუშევრები, ნახატები მიართვეს საჩუქრად. წაიკითხეს უწმინდესისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები. უგალობეს და უმღერეს ლაზური სიმღერები. უწმინდესს სამადლობელი სიტყვებით მიმართეს: **გია გვაზავამ**, **სვეტლანა ქეცბამ**, **ნონა ბერაიამ**.

„ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ აფხაზეთი და ცხინვალი დაკარგული არ არის და, ღვთის მადლით, ვიზეიმებთ საქართველოს გამთლიანებას“ – ბრძანა უწმინდესმა და უნეტარესმა. სიყვარულით დალოცა აფხაზეთელი ბავშვები და თითოეულს საჩუქრად გადასცა ოქროს ყდაში ჩასმული ბიბლიის ახალი გამოცემები თავისი ხელმოწერით. წარმატებები უსურვა მათ და გადაიღო სამახსოვრო სურათები.

აფხაზეთიდან დევნილ მოზარდებს დიდხანს გაჰყვებათ ამ საოცარი საღამოს მადლი.

ნონა ბერაია
აფხაზეთის სულიერებისა და კულტურის ცენტრის მთავარი სპეციალისტი

ახალი განათლება

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,
რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >

CMYK